


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბეჭდვით ბეჭდვით სიფყვას, ცყუილებით და ჭაბჭაბით ბუბუბის გატანა ყველა უკანონოა და უსამართლოა.

სუთშაბათი, 7 აპრილი. 2016 წ. №64 (7956), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## როინ მატრეველი

# უვიღ სამეფოდ განნასებული ⑥ ⑦

რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია



## აღაპიანობა და ზნეობა პირწმინდად რომ არ ნაბეჭდოს!



„პირწმინდად არის წაღეკილი!“ – ძლიერი, მწარე ნათქვამია. მაგრამ, მოდით, ნუ მოვიქნევთ ენას მთელი ძალდონით, ხომ არის – ნამდვილად არის სხვა საქართველო, რომელსაც არაფერი აქვს წასაღეკი და სამარცხვინო! ④

### როსტომ ჩხიკვაძე:

## ორინტირად – არასამთავრობოთათვის



⑤

### ნუზარ ფოფხაძე:

## ზაურ ბოლქვაძე მართლაც ლომი იყო, ⑨ პოეზიის და მეგობრობის!

## ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას აფრთხილებს

დამოკრახტიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის არაფერი გააკეთა.

– დღეს ხელისუფლების გუნდი ალაპარაკდა იმაზე, რომ შესაძლოა, მეორე ტური იყოს, ეს სრულიად ბუნებრივია იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, არა თუ შესაძლო, არამედ აუცილებლად იქნება მეორე ტური პრაქტიკულად ყველა რაიონში. ხელისუფლებას ძალიან სუსტი პოზიციები აქვს და რაც არ უნდა ილაპარაკოს, ფაქტია, რომ ქვეყანაში არის უმძიმესი პოლიტიკური და სახელისუფლო კრიზისი.



ფაქტია ისიც, რომ მოსახლეობამ დაინახა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოატყუა ქართველი ხალხი და, პრაქტიკულად, არც ერთი დანაპირები არ შეასრულა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ლაპარაკი იმაზე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებს სახელისუფლო გუნდი, უბრალოდ სასაცილოა.

– მინდა, გავაფრთხილო ხელისუფლებამ: თუ ისინი გადაწყვეტენ ასეთი მასშტაბის გაყვანას, ისინი ძალიან მძიმე შედეგებს მიიღებენ და ეს იქნება ქვეყნისთვის ცუდი!

### საით მივლივართ?!

## რეჟიმ ტაივ პრეზიდენტი: რუსეთი საქართველოს კონფლიქტში მხარე იყო

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაივ ერდოღანმა რუსეთი დაადანაშაულა იმაში, რომ იგი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მხარეა.

ამის შესახებ ერდოღანმა ანკარაში ადმინისტრაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„რუსეთი ამბობს, რომ თურქეთი ყარაბაღის კონფლიქტის მხარეა. სინამდვილეში, კი რუსეთია მხარე“, – განაცხადა ერდოღანმა. მისივე თქმით, რუსეთი იყო მხარე საქართველოში და უკრაინაშიც. „ახლა კი იგი სირიის კონფლიქტის მხარეა“, – აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, სომხეთმა იგივე ნაბიჯები უნდა გადადგას, რაც აზერბაიჯანმა, რომელმაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადა. ერდოღანის თქმით, თუ ეს არ მოხდა, პასუხისმგებლობა სომხეთს დაეკისრება.



## მეტროს მემანქანეები 8 აპრილიდან პაინს გაიფიცებენ

თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეები დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინაც შეიკრიბნენ. ისინი პოზიციას არ ცვლიან და 8 აპრილიდან გაფიცვით იმუშებენ.



სტაუსისა და დამსახურების მიხედვით დანამატს მიიღებენ და ამისათვის 1 მილიონი ლარი გამოიყო.

მათი თქმით, ამ თანხის გადახდა 2015 წლის 14 ოქტომბერს გადაწყდა, თუმცა დღემდე არ აუღიათ. მათივე განცხადებით, მხოლოდ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისინი მაინც გაფიცვას არ გადადებენ და პარასკევს, დღიდან მეტროს მუშაობას შეაჩერებენ. მეტროს მემანქანეები სტაუსისა და დამსახურების მიხედვით დანამატთან ერთად ყველა მემანქანისათვის ანაზღაურების გაზრდას ითხოვენ.

## პარლამენტის თავმჯდომარე არჩევნების 8 ოქტომბერს დანიშნვის მიზანი განმარტა

– კონსტიტუცია ოქტომბერს აღიარებს, როგორც საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად – ეს ერთი. მეორე, დღეს მოქმედი მაჟორიტარული არჩევნების სისტემა, რომელშიც ჩვენ, დღევანდელმა ხელისუფლებამ, საარჩევნო ბარიერის ზღურბლი გამარჯვების მოსაპოვებლად ავნივთ 50%-მდე, ნიშნავს, რომ მეტ ოქტომბეა მოსალოდნელი მეორე ტური. მეორე ტურის ჩატარებას კი სჭირდება მინიმუმ ორი კვირა. ასე რომ, ოქტომბრის პირველ ნახევარში ძირითადი არჩევნების თარიღი შესაძლოა, ამითაც იყოს გამოართლებული, რომ ოქტომბრის განმავლობაში მოენწროს მეორე ტურის ჩატარება. კლიმატური პირობების გათვალისწინებითაც, სხვადასხვა ადგილზე და ასე შემდეგ. მე პირადად უარყოფითს ამაში ვერ ვხედავ. კარგია, რომ ადრე გაიარა ეს ყველაფერი, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.



### ანონსი, მკითხველის თხოვნით:

## უსწოები ბენეკალისიუსი...

ხვალის ნომრიდან



სათარღლო აურზაური...

პრეზიდენტის არჩევნების თარიღის გამოცხადებასთან დაკავშირებით სერიოზული შეცდომა მოუვიდა...

საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის აკაკი მინაშვილის განცხადებით, გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო თარიღის გამოცხადებით სერიოზული შეცდომა დაუშვა.

„ერთადერთი, რაც ხელთ აქვთ, არის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ისინი არაა დემოკრატიული გზებით შეცდებიან ძალაუფლების შენარჩუნებას...“

არამზადა ნაცებს არაფერი მოსწონთ და ახლა ახალი საკბილო გაუჩნდათ!..

უს პარტიებისთვის კარგი ახალი ამბავი!

პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გია ცაგარეიშვილი მიიჩნევს, რომ „პრეზიდენტმა გაიზარა ყველა სირთულე და სიმძლე, რომელიც არჩევნებს თან ახლავს...“

პირველი ლეგან მამალაძის პარტია ღარიბისტრიდა

პირველი პარტია, რომელიც 2016 წლის არჩევნებისთვის დარეგისტრირდა, ლეგან მამალაძის „სახალხო ხელისუფლება“ ინფორმაციას ამის შესახებ ცესკო ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ არ ჰყავთ წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში, ცესკოს თავმჯდომარეს სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე...

კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, ცესკოს უნდა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 1000 ამომრჩევლის სია; ხოლო პარტიამ, რომელიც არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, უნდა წარმოადგინოს სულ ცოტა 25 000 ამომრჩევლის სია.

პარტია ვალდებულია მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიები ცესკოს წარუდგინოს სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩილაძემ თანადგეობა დატოვა

ჩემი საკუთარი ინიციატივით წამოვედი ამ თანამდებობიდან და დაუბრუნდი აქტიურ სამედიცინო საქმიანობას. რაღაც გეგმები მაქვს პროფესიული კუთხით. ძალიან კარგად ვთანამშრომლობდი, არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არანაირი საკითხზე არ ყოფილა“

თუ „რესპუბლიკელი მინისტრები“ საარჩევნო სიაში იქნებიან, ისინი მინისტრების პოსტებს დატოვებენ

ვიცი, რომ 60 დღით ადრე დაიწყება ოფიციალურად საარჩევნო კამპანია, მაგრამ არასაპარლამენტო ოპოზიცია, საპარლამენტო ოპოზიცია უკვე წინასაარჩევნო რეჟიმშია. მომავალ ხედეებზე იწყება საუბარი, მსჯელობა მიდის ვინ იქნებიან კანდიდატები, როგორ იქნება სიები წარდგენილი...

„რესპუბლიკური პარტია“ სიის და მაჟორიტარების შერჩევის პროცესში „რესპუბლიკელი მინისტრებთან“ შე-

თანმდებობით გადანაცვლეს, იქნებიან თუ არა ისინი საპარლამენტო კანდიდატები პროპორციული თუ მაჟორიტარული სისტემით. ამ ეტაპზე ზუსტი პასუხი არ არის. უახლოეს მომავალში, როდესაც პარტია ჩამოყალიბდება ამის შესახებ გაცნობებთ, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ თუ ისინი იქნებიან კანდიდატები, მათთანვე შეთანხმებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი დატოვებენ მინისტრების პოსტს“

ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიების თანამშრომლობა უსაძლებელია...

თუ ბურჯანაძისა და ინაშვილის პარტიები მოხვედებიან პარლამენტში, მათთან თანამშრომლობა ჰიპოტეტურად შესაძლებელია, — ამის შესახებ განცხადება მმართველი პარტიის წარმომადგენელმა გია ვოლსკიმ გააცხადა.

„ძალიან განსხვავებულია ჩვენი ხედვები მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. ივანიშვილის მიმართ გაისმის ესა თუ ის მტკიცება, რომ მან შეხედა ირმა ინაშვილს ან ბურჯანაძეს, როგორც მომავალ ოპონენტს პარლამენტში. მაგრამ რეალურად ყველა პარტიასთან დაკავშირებით მე მინდა, დავადასტურო კიდევ ერთხელ, მზად ვართ, ყველა პარტიასთან ვითანამშრომლოთ, თუკი მათ ჩვენი საზოგადოება აირჩევს“

ნავსადგომების კომპლექსური უპილოტო დაიწყო

4 ბაზრილიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ საქართველოს ყველა საზღვაო ნავსადგურის კომპლექსური შემოწმება დაიწყო.

ამ შემოწმების მიზანია საზღვაო ნავსადგურების შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში, — იტყობინება ეკონომიკის სამინისტრო.

სამინისტროში ასევე აღნიშნავენ, საზღვაო ნავსადგურების გამართული მუშაობა პირდაპირ კავშირშია



ტვირთების და მგზავრების უსაფრთხო გადაადგილებასთან საქართველოს ტრანზიტულ დერეფანში.

სააგენტო, როგორც საზღვაო დარგის ტექნიკური მარეგულირებელი უწყება, კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ცდილობს საერთაშორისო ნორმებისა და კარგი საზღვაო პრაქტიკის დანერგვას საქართველოს საზღვაო სივრცეში, შესაბამისად მსგავსი შემონიშნებებს რეგულარული ხასიათი აქვს.

„არჩივი ყველას“

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი პროექტის — „არქივი ყველას“ ფარგლებში კიდევ ერთი სატელევიზიო სპექტაკლის და მხატვრული ფილმის ადაპტირებული ვერსია შექმნა სმენადაქვეითებულთათვის, — აცნობებს მედიანაუსის საზოგადოებრივი მაუწყებელიდან.

გამორჩენილი ჩემი მწერლის კარელ ჩაპეკის მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმი „რეკორდი“ (როლებში: გოვენ ჭეიშვილი, ჯუმბერ ჟვანია, გიორგი ლომაია, მანუჩარ შერვაშიძე, ევა ხუტუნაშვილი, მერაბ გაბუნია და სხვები; სცენარის ავტორები: ამირან ჭიჭინაძე, გურამ პატარაია; დამდგმელი ოპერატორი — ირაკლი ონოფრი შვილი; დამდგმელი რეჟისორი — გურამ პატარაია; რეჟისორი — ოთარ ასანიშვილი; მხატვარი — თე-



მურაზ თხელიძე; დამდგმელი მხატვარი — კახი ხუციშვილი; კომპოზიტორი — გია ყანჭელი) და მიხეილ ჯავახიშვილის ამავე დასახელების ნაწარმოების მიხედვით დადგმული ტელესპექტაკლი „ჯავახი ხიზნები“ (რეჟისორი — თემურ ჩხეიძე; მხატვარი — მირიან შველიძე; წამყვანი ოპერატორი — ჯუმბერ ტრიგორაშვილი; მუსიკალური რედაქტორი — დავით ტურიაშვილი, მხატვარი გრაფიკოსი — გურამ გუნცაძე).

მასალები განთავსებულია პირველი არხის ვებ გვერდზე [www.1tv.ge](http://www.1tv.ge) შემდეგ ბმულებზე: <http://1tv.ge/ge/videos/view/161036/570.html>

ფილმი „რეკორდი“: <http://1tv.ge/ge/videos/view/161036/570.html>

„ჯავახი ხიზნები“ — I ნაწილი — <http://1tv.ge/ge/videos/view/161040/570.html>

„ჯავახი ხიზნები“ — II ნაწილი — <http://1tv.ge/ge/videos/view/161047/570.html>

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი 2015 წლის შემოდგომის სეზონიდან ახორციელებს ახალ პროექტს „არქივი ყველას“. პროექტის მიზანია, ფართო საზოგადოებას მიანოდოს ინფორმაცია არქივში დაცული მასალების შესახებ, ხელმისაწვდომი გახადოს ის ნებისმიერი ადამიანისთვის, მოახდინოს დაცული მასალების მიზნობრივად და საინტერესოდ გაცნობა-გამოყენება.

2015 წლის 1 დეკემბერს კინოთეატრ „რუსთაველი“ პროექტის — „არქივი ყველას“ პირველი პრეზენტაცია ადაპტირებული სატელევიზიო სპექტაკლის, ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ (რეჟ. თემურ ჩხეიძე) ჩვენება და დისკის პრეზენტაცია გაიმართა.

ბრაზო! — ლონდონის სასამართლო დავით კუხრაშვილი უღანაულოდ ცნო...

ლონდონის სასამართლო დავით კუხრაშვილი უღანაულოდ ცნო და მის საქართველოში ექსტრადირებაზე უარი განაცხადა. მოსამართლე საკუთარ გადაწყვეტილებას გამართავს და მიიჩნევს, რომ საქართველოში, თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ დაწყებული სამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებულია და ექსტრადირების შემთხვევაში არსებობდა რისკი, რომ სასამართლო პროცესი პოლიტიკური სპეკულაციისგან თავისუფალი არ იქნებოდა.

აი, ჩვენს მკითხველს მაინც არ სჯერა, რომ მსოფლიო მართლმსაჯულება ჩაღიბო არის დასურული..

ჩხუბი საქალაქო სასამართლოსთან

ფიზიკური დაპირისპირება საქალაქო სასამართლოსთან — ერთმანეთს თავისუფალი ზონისა და თავისუფალი თაობის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. დაკავებული რამდენიმე პირი. დაპირისპირება ჟურნალისტ ზაზა დავითიას პროცესის შემდეგ მოხდა. ერთმანეთს დავითიას მხარდამჭერები და „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. დაპირისპირება ჯერ სასამართლო დარბაზში დაიწყო და შემდეგ გარეთ გაგრძელდა. ზაზა დავითიას რამდენიმე ხნის წინ „თავისუფალი ზონის“



ოფისთან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. პროცესი სასამართლოში სწორედ ამ საკითხს ეხებოდა.

ამ ასფალტი პირველად იშვიათი

ჩიქოვანის და დოლიძის ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე მცხოვრებ მოსახლეობას წელს პირველად ექნება შესაძლებლობა კეთილმოწყობილი გზით ისარგებლოს — აღნიშნულ საგზაო მონაკვეთსა და მიმდებარე ჩიხებში საბურთალოს რაიონის გამგეობა ასფალტისსაფარიან გზას აწყობს.



დედაქალაქის მერიის ინფორმაციით, სამუშაოების მიმდინარეობას საბურთალოს რაიონის გამგეობა ეხმარება. გზის კეთილმოწყობის სამუშაოებს ობიექტზე კომპანია „ჯეოტრუპი“ ახორციელებს. ასფალტის საფარი აქ 3 780მ2-მდე ფართობზე დაიგება.

„მასტერა“ სასამართლოსთან თანამშრომლობას გავაგრძელებ



გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა“, მოსამართლე გიორგი დარჩაველიძის პატიმრობაში დატოვა. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, რომელიც პატიმრობის გაუქმებას ითხოვდა. ამასთან, მოსამართლემ სსდომ ბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე გადადო. დგებუაძემ სასამართლო სსდომაზე განაცხადა, რომ საქმის მასალების სრულად გაცნობა ვერ მოახერხა „დეტალურად მინდა გავიცნო საქმეს, რათა უფრო არგუმენტირებულად წარვდგე სასამართლოზე.“

ერთი თვე, მინიმუმ, მინდა. 9 ტომია საქმე. თემები ისეა ერთმანეთში არეული, რთულია გარკვევა, რა არის ჩემ წინააღმდეგ და რა არა“, — განაცხადა ბრალდებულმა.

რაც შეეხება საქმეს, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. ყოფილი მაღალჩინოსანი 2006 წელს, ნავთილის ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის დროს სამი ახალგაზრდის განზრახ მკვლელობის საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაამეტებაშია ბრალდებული. დგებუაძე პროცესზე სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ ის არსად გაქცევას არ აპირებს და სურს, ამ საქმეს ერთსელ და სამუდამოდ წათელი მოეფინოს. „უღრმესი პატივისცემა მინდა, გამოვხატო სასამართლოს მიმართ. მზად ვარ, ვითანამშრომლო სასამართლოსთან, რომ ამ რთულ და ტრაგიკულ საქმეს ერთსელ და სამუდამოდ მოეფინოს წათელი. გაქცევა და თავის არიდება, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. უდანაშაულო ვარ ამ საქმეში. ჩემ მიერ წარმოდგენილი ფაქტები შეცვლის იმ რეალურ სურათს, რაც არის. არ ვაპირებ არც მიმალვას და არც თავის არიდებას. წინასწარ პატიმრობაში დიდხანს ვიყავი. რა მნიშვნელობა აქვს, ჰოლანდია იქნება, ბელგია თუ მარსი. გთხოვ, პატიმრობა გააუქმოთ“, — მიმართა გიორგი დგებუაძემ მოსამართლე გიორგი დარჩაველიძეს.

სასამართლო სსდომა „მასტერას“ სისხლის სამართლის საქმეზე 17 მაისს ჩაინიშნა. მისი ექსტრადირება კი ჰოლანდიიდან რამდენიმე დღის წინათ განხორციელდა.

აპრილის ელჩ თარიღი „მოსწონს!“

საპარლამენტო არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა საქართველოში შეერთებული შტატების ელჩმა. იან კელიმ თქმით, მათ ქონდათ მოლოდინი, რომ არჩევნები ოქტომბერში ჩაინიშნებოდა.

— არჩევნების დანიშვნის საკითხი საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია. რამდენადაც ვიცო, გადამწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი მარგველაშვილი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გამოცხადებული თარიღი ჩვენს მოლოდინს შეესაბამება, ჩვენ ვიცოდით, რომ არჩევნები უნდა დანიშნულიყო ოქტომბერში — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ.

რიკოტის გზის ალტერნატიული გზა აშენდება

სახელმწიფო აშენებს რიკოტის გზის ალტერნატიულ გზასაც, რომელიც სარაგაულის მიმართულებით გაივლის და ზესტაფონს დაუკავშირდება, — განაცხადა „ბიზნესკონტაქტთან“ საუბარში ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩეველმა გიორგი სეთურაძემ. მისი თქმით, გზის სიგრძე დაახლოებით 54 კილომეტრი იქნება.

— ორივე გზის სიგრძე დაახლოებით 54 კილომეტრი იქნება. დაიწყება ჩუმათელეთიდან და დასრულდება ზესტაფონის გასასვლელში. აშენდება არსებული გვირაბის პარალელური გვირაბი. გარდა ამისა კიდევ აშენდება 20 კილომეტრი საერთო სიგრძის სხვადასხვა გვირაბი, რომლის საშუალებით შევათავსებთ გზას ქედების გარშემო, — აცხადებს სეთურაძე.

რაც შეეხება იმას, იქნება თუ არა რიკოტის გზის ალტერნატივა ტრანსპორტისთვის ფასიანი, რომლის შესაძლებლობაზე ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯაფარიძემ ცოტა ხნის წინათ ისაუბრა, მინისტრის მრჩეველი ამბობს, რომ ჯერჯერობით ფასიანი გზის არსებობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

„ჯერჯერობით არ განიხილება, დასაშვებია ვეღვაფერია. ამ ეტაპზე ყველა მონაკვეთი, რაც შენდება, იქ ფასიანი მონაკვეთები გათვალისწინებული არ არის“, — ამბობს გიორგი სეთურაძე. გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობას მსოფლიო ბანკი, მეროქსი კი აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. პროექტის დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი 20%-ია. პროექტი, რომელიც, საგარეო დახმარებით, მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდება, 2020 წლისთვის უნდა დასრულდეს.



პოლიტიკოსებო, მოინაღირეთ დიაბეტიანების გულაბი!..

„ტკბილი გამაჩხუპებისთვის“!

რა არ მოსწონთ პროფესიონალ ენდოკრინოლოგებს?

მსოფლიოში დღეს დაახლოებით 415 მილიონი დიაბეტიანი პირია. ეპიდემია კატასტროფულ მასშტაბებს იძენს! წელიწადში საქმიანი დიაბეტისგან უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ერთად აღებული: შიდსისგან, მალარიისგან და ტუბერკულოზისგან. ათობით მილიონი ადამიანი დიაბეტის გამო იწვალიდებოდა. ტიპი-2 საქმიანი დიაბეტი კი ერთი თაობით გაახალგაზრდავდა... იგი მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტ ბავშვს ემართება.

დამეთანხმებით, რომ ეს მონაცემები დამაშვიდებელი საშუალება არ აძლევს საზოგადოებას, მით უფრო ექიმებს, რომელთაც უფრო მეტი და მეტი ძალისხმევით გაღება უწევთ დიაბეტთან საბრძოლველად. დღეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია ჯანდაცვის დღეს აღნიშნავენ, რომელიც წლეულს კონკრეტულად დიაბეტს მიეძღვნა.

საქართველოც პირველად აღნიშნავს ამ დღეს მასშტაბურად. მასში აქტიურად არიან ჩართულნი ჯანდაცვის სამინისტრო, პარლამენტი და, რა თქმა უნდა, ენდოკრინოლოგიური ცენტრები...

ჩვენი გაზეთიც თავისებურად ეხმარება დიაბეტის დღეს. გთავაზობთ ინტერვიუს კლინიკა „დიაკორის“ ენდოკრინოლოგთან, მედიცინის აკადემიურ დოქტორთან, ქალბატონ ლალი ნიკოლეიშვილთან:

— გულუბრყვილო კითხვა უნდა დაგისვით... დიაბეტი განკურნებადია?

— დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც არ იკურნება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მისი დამარცხება შეგვიძლია. მაგალითად, თუკი გლუკოზის ცვლის დარღვევა მიმდინარეობს სიმსუქნის ფონზე, წონის კორექციით, ძალიან ხშირად ხდება დიაბეტის უკუგანვითარება. ამ მიზნითვე ხდება ბარიტრიული ქირურგია... წონის კორექციის შემდეგ, საქარი ნორმაშია... თუ ამას დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დიაბეტი განკურნებადია(!).

რამაზ მურაშვილი (დიაბეტის კვლევის ეროვნული ცენტრის დირექტორი, საქართველოს დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირის თავმჯდომარე):

— დღეს მასშტაბურად აღვნიშნავთ დიაბეტის დღეს. თუმცა, ხელისუფლების თანამონაწილეობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ დიაბეტის დაფინანსება გაზარდონ. ავადმყოფებისთვის რაღაც ახალი უნდა გააკეთონ! მაგალითად, სამინისტროში გავგზავნე ინიციატივა, რომ დიაბეტიანი ორსულებისთვის 50 პომპა შეიძინონ, რომელიც აუცილებელი ინსტრუმენტია.

— საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ნუთუ ვერაფერი შეღავათი მისცა დიაბეტიანებს? ვფიქრობდი, რომ სახელმწიფოს მეტი ჩართულობა იქნებოდა დიაბეტის მართვაში...



მართვა და შეიძლება მათ ისეთი ელემენტარული შეცდომა დაუშვან, რომელიც ვენბს პაციენტის ჯანმრთელობას. სხვათა შორის, ზოგადად მსოფლიოში ასეა... სამსუხაროდ, დიაბეტიანი პაციენტს ხშირად ოჯახის ექიმები თვითონ მეთვალყურეობენ.

— დიაბეტი ძვირია დაავადებაა? — ძვირია, რა თქმა უნდა, თუმცა, ვითარებას გააჩნია. მედიკამენტის შერჩევისას ექიმები აუცილებლად ვითვალისწინებთ ორ კომპონენტს: მედიკამენტის შერჩევა ხდება პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

— ხომ არ არის დიაბეტი სოციალური დაავადება. მაგალითად, დამახასიათებელი მდიდრებისთვის ან ლარიბებისთვის; ან ასაკობრივი დაავადება?

— ასრტობს დიაბეტის განვითარების რისკის ფაქტორები. ტიპი-2 დიაბეტი ხშირად იმ პირებს უფრო ადვილად მოუხდება, რომლებიც მსუქნები არიან. თუკი ადამიანს არა აქვს საშუალება, იყიდოს ჯანმრთელი საკვები, იცხოვროს ჯანსაღი წესით და ა. შ. გამოდის, რომ სწორედ სოციალური სტატუსიდან გამომდინარე ვერ უფლის თავს და რისკიც უფრო მაღალია. თუმცა, არსებობს სხვა კომპონენტები, რომელიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ვთქვათ, ასაკი ან მემკვიდრეობა. მაგალითად, თუ მშობელი ან ნათესავი იყო დიაბეტიანი და პირი თანდათან იმატებს წონაში, ამ დროს ამ ადამიანს დიაბეტის განვითარების იმაზე მაღალი რისკი აქვს, ვიდრე მასზე ჭარბწონიანს, რომლის მშობელსაც დიაბეტი არ ჰქონდა. რისკის ფაქტორები ცვლადია და ის, რაც ჩვენს ხელშია, უნდა შევამციროთ. რისკის ფაქტორებია: ჭარბი წონა, ჰიპერტენზია, არასწორი კვების რეჟიმი, ნაკლები ფიზიკური აქტიურობა, ასევე სხვა ქრონიკული დაავადებები, რომლებიც ჰორმონოთერაპიას საჭიროებენ... მავნე ჩვევები. მაგალითად, მოწვევა 2-ჯერ ზრდის დიაბეტის განვითარების შანსს...

რაც შეეხება ასაკს, ტიპი-2 დროს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს. რაც მეტია ასაკი, მით მეტია რისკი, განვითარდეს საქმიანი დიაბეტი.

— როგორ შეიძლება დიაბეტის პრევენცია, პირველადი დიაგნოზი, კონტროლი?

— მაგალითად, პაციენტი მოდის და ამბობს: მე არა მაქვს დიაბეტი, უზომოზე მაქარი მქონდა ნორმაში. ეს არ არის სწორი დიაგნოზი, რადგან საქარი დღის განმავლობაში იცვლება და ის ჭამის შემდეგ შეიძლება ნორმაზე მაღალი იყოს. გაზომვა უნდა მოხდეს დღეში რამდენჯერმე და ამის მერე უნდა გამოვიტანოთ დასკვნა. თუკი რისკი მაღალია, მხოლოდ გლუკომეტრით საქარის გამოკვლევა საკმარისი არ არის. აუცილებლად უნდა შეფასდეს კუჭუკანა ჯირკვლის ფუნქცია და ასევე გლუკოპემოგლობინი. ზოგადად, ერთი დღის მონაცემებით დიაბეტის პროგნოზირება რთულია.



— არ მინდა, ვთქვა, რომ ყველაფერი კარგად არის, ან ყველაფერი ცუდად არის. რა თქმა უნდა, ასე არაა. მაგრამ ჩვენ გვჭირდება მეტი გონივრული გადაწყვეტილება მის მიღება. სამინისტრომ და ენდოკრინოლოგებმა შეთანხმებულად უნდა ვიმუშაოთ, კრეატიულად, შესაცვლელია გაიღვიანდები... მინისტრთან, მინისტრის მოადგილეებთან დაკავშირებით პრეტენზიები ნამდვილად არა გვაქვს, მაგრამ ქვედა ეშელონებში აშკარად იგრძნობა არაპროფესიონალიზმი. მაგალითად, ერთ-ერთ თაბირზე ჯანდაცვის წარმომადგენელმა გამოგვიცხადა, მე ჩემი ექსპერტი მყავსო... კი მაგრამ, ვინ არიან ეს ექსპერტ-ენდოკრინოლოგები, თუ არა ჩვენ?! აქვე მინდა, გულისტყვილით აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხი არ იმსახურებს ამდენი ექიმის არადაამაკვაყოფილებულ ცოდნის დონეს!!!

— რამდენი დიაბეტიანი პირია საქართველოში?

— 300 ათასზე მეტი. ჭკვიანმა პოლიტიკოსმა ეს უნდა გააანალიზოს. ამ ადამიანების უკან ხომ ოჯახის წევრები არიან?! ეს თითქმის მილიონი ხმაა. თუ კმაყოფილი იქნებიან დიაბეტის პირები, შესაბამისად, პოლიტიკოსს მეტი ამომრჩეველი ეყოლება...

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დიაბეტიანი პირების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. სამსუხაროდ, არც ერთ ქვეყანაში კლების ტენდენცია არ შეინიშნება...

ესაუბრა თაა მონია

**გულხანდილად რომ ვთქვა, ენაც არ მიბრუნდება, ამაზე რომ ვისაუბრო, ხელიც არ მემორჩილება, რომ ვწერო. აქ მართლაც არაა ძნელი საქმე, რომ სამ ფიჭვის ხეში დაიბნე. დიან, ცოლქრული დალატი – ეს არაა კარგი, მაგრამ გაავრცელო საიდუმლოდ გადაღებული ვიდეოკადრები, რომლებმაც აღბეჭდეს დალატის მომენტები – ასევე არაფრად არ ვარგა! ნოლო რომელია უარესი – მოდი და გავერვიე... არა, ავტორი არ ცდილობს პასუხს გასცეს ამ კითხვებს. ის მხოლოდ ფაქტების კონსტატირებას ახდენს. ფაქტები კი ასეთია.**

რამდენიმე ხნის წინათ უცნობმა ავტორმა Youtube-ში გადმოსცა სექსუალური ხასიათის ვიდეოჩანაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, გვიჩვენებდა ერთ-ერთ ქართველ პოლიტიკოსს – ქალბატონი იყო თუ ჯენტლმენი. დაზუსტებით თქმა არაფრით არ შემოიძლია – თავად არ მინახავს. იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც აღბეჭდილი არიან ამ ვიდეოჩანაწერზე, როგორც ამბობენ, იყო დაფარული, სახელები არ არის დასახელებული. თუ როგორ გახდა ცნობილი მასზე ასახული ადამიანის პიროვნება – გაუგებარია.

ინტერნეტში ამგვარი ვიდეოსიუჟეტის განთავსების თავად ფაქტმა, ბუნებრივია, საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. ჩანაწერი სოციალურ ქსელში უმაღლეს დიპლომს. ყურნალისტი ქალი, რომელმაც ეს დაგვიანებით გააკეთა, იძულებული გახდა წასულიყო სამსახურიდან. ნებისმიერი საუბრები, რომლებიც შეეხებოდა საიდუმლო ვიდეოჩანაწერის შინაარსს, გამოცხადდა უტაქტოდ და არაკორექტულად.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ჰგავდა ცნობილ თამაშს: „კის“ და „არას“ ნუ იტყვიოთ, სახელებს ნუ დაასახელებთ, შვიც, თეთრის და ნითლის შესახებ ნუ გაიხსენებთ!”

მაგრამ ნებისმიერი, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ქართული ცხოვრების რეალობას, შესანიშნავადა გაათვითცნობიერებული: ყველაზე კარგი ხერხი, აიძულო ადამიანები რაიმე განიხილონ – ესაა მოხდეს ამ განხილვის აკრძალვა. და გამოდის კიდევ. თითქოს და ვილაცას პირადად არაფერი უნახავს, თუმცა ყველა ყველაფრის შესახებ შესანიშნავადა ინფორმირებული: ვინ, რა და როგორ...

პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი: სექსუალურ ურთიერთობათა კადრების შესახებ, რამაც ასეთი ხმაური გამოიწვია, ქართული პოლიტიკომონდის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ოთხი ან ხუთი წლის წინათ. მაგრამ ყველა დუმდა. მეხი გავარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ინტიმური სიახლოვის ვიდეოჩანაწერი გასაჯაროვდა. ნათქვამიდან დასკვნა, ვი რომ, არც მთლად მიკვირდებოდა: სანამ შენ საქმეებს აჭახარკებ ფარულად – ყველაფერი წესრიგშია! მაგრამ თუ ერთხელ გამოგიჩივრებს – ავე პასუხი!

„კეთილი!“ – ამბობს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, და უშაღვცე, როგორც ეს მისთვის არის დამახასიათებელი, იღებს მოკრის პოზას: „მე პირადად, – სწევს თავისი პირადი ცხოვრების ფარდას, – მაქვს სექსუალური ცხოვრება, მქონდა ძალიან მდიდარი სექსუალური ცხოვრება და მომავალშიც მექნება...“ ვერაფერს იტყვი, ბრავო! თუმცა ზოგიერთი შეკითხვა, რასაკვირველია, რჩება. მაგალითად, როგორი კრიტიკული უნდა შეგვფასოთ „მდიდარი სექსუალური ცხოვრება“? პარტნიორი კაცებისა და ქალების რაოდენობის, თუ სხვა რაიმეს მიხედვით? პირდაპირ გინდებდა სურვილი, დაწერო ქალაქში ფრაზა, რომელიც ოდესღაც წარმოთქვა ამხანაგმა სტალინმა თითქმის ანალოგიურ საბაბთან დაკავშირებით. იგი, ალბათ, დაახლოებით ასეთი იქნებოდა: „რა უნდა ვქნათ? შეგეშურდეს ამხანაგი მარგველაშვილისა!“ და სწორი ცნობა: სურს პრეზიდენტს სექსი, ღმერთმა ხელი მოუშაროს. მაგრამ ამ დროს არ დაივიწყოს ყველა საჯარო პერსონის ქცევის წესები, მათ შორის პრეზიდენტისაც!...

განა ამოაღა ნათქვამი: ის, რაც ნებადართული იუბილტრისთვის, არ არის ნებადართული ხარისთვის. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ სხვა რამეც: ის, რომ საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ყოფილიყო მიმტევებელი ხარისათვის, იგი ამას არ პატიობს იუბილტრს. მაგალითად, რომ არა საბრალო ბილ კლინტონი, გიორგი მარგველაშვილის ამერიკელი კოლეგა, არამედ ვინმე პატარა კლერვი პრეზიდენტის ჩინოფნიკების რიცხვიდან, ისურვებდა ერთ მშვენიერ დღეს „შეეცდინა“ თეთრი სახლის ახალგაზრდა პრაქტიკანტი მონიკა ლევისკი, გარწმუნებოთ, არანაირი სკანდალი იქ არასოდეს იქნებოდა! ბილს კი არ აპატიეს!



# აღაშიანობა და ზნეობა პირნივად რომ არ ნაგველკოს!

გახსოვთ, პუშკინს აქვს ასეთი ადგილი: „Его пример другим наука: коль есть меж ног такая штука - не тычь ее кобыле в зад!“... ასე რომ, თუ პატივცემული ბილის თბილისელი კოლეგა მოისურვებს, მისი მაგალითის მიხედვით, „შეცდინოს“ ვინმე ახალგაზრდა პრაქტიკანტი, მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, მაშინ მაპატიეთ... ესეც შენი „მდიდარი სექსუალური ცხოვრება!“ პარლამენტის ნებართვის ან მოქმედ კონსტიტუციური მორიგე შესწორების შეტანის გარეშე მისი წარმოება, ჰე-ჰე, არც ისე მარტივია. თუ შეიძლება, მხოლოდ საიდუმლოდ... რომ არავინ იცოდეს... მაგრამ ფრთხილად: სწორედ ამას ელოდება უცნობი არამზადა, რომელიც ცდილობს დაგაფიქსიროს თქვენ და თქვენი პარტნიორი მანდილოსანი ან მამაკაცი ვიდეოკამერაზე. და ეს არის არა უზნეობათა კეთილშობილი დამცველი, არამედ საზოგადოებრივი შანტაჟი, რომელსაც თავისი ანგარებიანი მიზნები ამორჩავენ.

**უიქლაბა, მებრამ... საიდუმლოდ!**

ნებისთვის. ვილაცამ ვარულ ვიდეოჩანაწერებს ლამის იმ „ერთგულეების ქაშაშების“ ანალოგი უწოდა, რომლებიც შუა საუკუნეებში მოქმედებდნენ, და რომლებიც, დღევანდელი პოლიტიკური საზომების თანახმად, რეკომენდებულია ვატაროთ თითქმის სიკვდილამდე ვილაცა ცდილობს გამოიგონოს რაიმე ხერხი მომაკვდინებელი ვიდეოკადრების ნეიტრალიზებისთვის. „ჩემი დაქალი არაჩვეულებრივი ინიციატივით გამოვიდა – დაე, თითოეულმა ჩვენგანმა ჩაიწეროს ვიდეოზე საკუთარი სექსუალური ცხოვრების ეპიზოდები და განათავსოს ეს კადრები Youtube-ზე – ასე დაკარგავნ სხვა ვიდეოკადრები ამ თემაზე ყოველგვარ აზრს... ვფიქრობ, ეს იდეა ყურადღებას იმსახურებს“, – გეთავაზობს ტელეარხ „მეტსტროს“ ყოფილი გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძე. კოლეგის წინადადებას ბოროტი ირონიით გამოუმართა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ყურნალისტი გიორგი გიგაური, რომელმაც შემოგვთავაზა არ გამოვიფინოთ პირადი ცხოვრების ეპიზოდები Youtube-ზე, არამედ პირდაპირ გადმოვცეთ ტელეარხ „რუსთავი-2“-ზე ტელემაჟორებელთა მრავალრიცხოვანი აუდიტორიისათვის. „რატომ მოხდა, რომ დიდი ხნის წინათ ცნობილი ვიდეოკადრები გასაჯაროვდა მხოლოდ 2016 წელს, და არა, მაგალითად, 2012 წელს – პარლამენტის არჩევნების წინ? და რატომ შეეხება ისინი სწორედ ამ ადამიანს, და არა ვინმე სხვას? მაშასადამე, ის ვილაცისთვის არახელსაყრელი გახდა?“ – სვამს შეკითხვას ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერიანი. თუმცა პასუხს ვერ პოულობს.

„ამ ვიდეოკადრებზე ადრეც ლაპარაკობდნენ, დაახლოებით 2010 ან 2011 წლებში, – შეგვახსენებს მოქმედი დეპუტატი გოგი თოფაძე. – ამრიგად, ინტერნეტში ნაჩვენებ ვიდეოკადრები გადაღებულია არა ამჟამინდელი ხელისუფლების დროს“. დიან, არა ამჟამინდელი ხელისუფლების დროს, ეს სიმართლეა! მაგრამ გასაჯაროვდა ისინი სწორედ ახლა! ყველა კომენტარის შინაარსის გადმოცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, და ამას არც აქვს აზრი, მაგრამ ორ გამონათქვამზე – პარტიცა „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერის ირაკლი ალასანიასი და მსახიობ გივი სიხარულიძისა – უნდა შევჩერდეთ. იმ ვიდეომასალების გავრცელება, რომლებიც მოქალაქეთა პირად ცხოვრებას ასახავს, ირაკლი ალასანიამ შეაფასა, როგორც „ძველი საქართველოს – 1990-იანი წლების საქართველოს და ახალი პროგრესული საქართველოს“ დაპირისპირება. ბუნებრივია, „ძველი საქართველო“, ალასანიას აზრით, – ესენი არიან უცნობი პირები, რომლებიც მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში იჭრებიან, ხოლო „ახალი, პროგრესული საქართველო“ – ესენი მათი მსხვერპლები არიან, ესე იგი, პერსონაჟები, რომლებიც აღბეჭდილი არიან საიდუმლო ინტიმურ ვიდეოჩანაწერებში. საინტერესო ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი! „მე მოვიტხოვ დამნაშავეთა უმკაცრეს დასჯას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფარული ჩანაწერების გავრცელება იყო მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ჩემი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ – დღეს ეს ჩემთვის სულაც არაა ყველაზე მთავარი. საკითხი შეეხება იმას, თუ როგორი საზოგადოება გვინდა, რომ ავადგო ჩვენი პროგრესული საზოგადოებაში ასეთ ფაქტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს!“ – მიაჩნია ირაკლი ალასანიას. და შემდეგ: „ჩვენ ვნახეთ ამ ცოტა ხნის წინათ, როგორ გაუსწორდნენ ჩვენი პარტიის ცნობილ მოღვაწეს ალექსი პეტრიანიშვილს. ახლა დაგეგმილი იყო ჩვენი კიდევ ერთი ლიდერის მორალური მკვლელობა. ამ დამნაშავე ჯგუფებში, ვინც ეს გააკეთა, გადალახეს ყოველგვარი ზღვარი, გადავიდნენ წითელ ხაზზე. ჩნდება კითხვა: ვინ? მე შემოიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ხელისუფლების ორგანოებში, მათ შორის სამართალდაცვის სტრუქტურებშიც, არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არ ემორჩილება პრემიერს, მათ არაფორმალურად სხვა პირები მართავენ. მაქვს დიდი ეჭვი, რომ სწორედ ამ მხრიდან მოხდა დარტყმა“.

როდესაც აძლევა პასუხს შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად ვინ ჰყავს მას მხედველობაში, „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერმა პირდაპირ თქვა, რომ დღეს უშიშროების სტრუქტურებს მართავს ბიძინა ივანიშვილი.

ბატონი ირაკლის ნათქვამიდან დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიგვიწევია. აი, მსახიობ გივი სიხარულიძის სიტყვები: „ყველა ლანძღავს ვიდეოკადრების გამოვრცელებას, მაგრამ არავის ერთი სიტყვაც არ უთქვამს ოჯახური კერის, ოჯახური კავშირების სინამდის შესახებ. დიან, ბატონებო, მოხდა საზოგადოებრივი ისტორია. და, რასაკვირველია, ამ ვიდეოკადრების ავტორები და გამავრცელებლები სამამოლოდ უნდა დაისჯონ. მაგრამ ამავ დროს ჩვენ უნდა დავინახოთ საუბარი მორალზე, რომელიც დღეს საქართველოში პირნივადად არის წალეკილი“.

**„პირნივადად არის წალეკილი“ – კლინტონი, მზარა ნათქვამი. მზარა, მოდით, ნუ მოვიძინებთ ენას მთელი ქალაქის, სოფლის – ნამდვილად არის სხვა სამართლებლო, რომელსაც არაფერი ამს წასალეკი და საზოგადოებრივი მართლმადიდებელი იქნება ალტერნატიული გზით: მარგველა სანაპიროზე დაბრუნება შესაძლებელი იქნება ვასუშტის სახელობის ხიდის პანდუსით გმირთა მოედნისა და კოსტავის ქუჩების გავლით. თბილისის მერიის ბიუროს გიხდით შეფერხებისთვის“, – აცხადებენ მერიისაში.**

როდესაც აძლევა პასუხს შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად ვინ ჰყავს მას მხედველობაში, „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერმა პირდაპირ თქვა, რომ დღეს უშიშროების სტრუქტურებს მართავს ბიძინა ივანიშვილი.



ვადიმ ანასტასიანი

## სასოპაბი თბილისში – შეზღუდვები 17 აპრილამდე გაბრძობა!

**დღეიდან 17 აპრილის ჩათვლით, ღამის 23:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე საავტომობილო მოძრაობა ლაგუნა ვერც მიმდინარე ტერიტორიიდან თამარ მეფის ხიდის პანდუსამდე გადაიკეტება. ინფორმაციას თბილისის მერიის კეთილშობილების სამსახური ავრცელებს. შეზღუდვა დედაქალაქში მიმდინარე გზების კამპიტალურ შეკეთებას უკავშირდება. „ამ პერიოდის განმავლობაში გადაადგილება შესაძლებელი იქნება ალტერნატიული გზით: მარგველა სანაპიროზე დაბრუნება შესაძლებელი იქნება ვასუშტის სახელობის ხიდის პანდუსით გმირთა მოედნისა და კოსტავის ქუჩების გავლით. თბილისის მერიის ბიუროს გიხდით შეფერხებისთვის“, – აცხადებენ მერიისაში.**



# ორიენტირად - არასამთავრობოების

## სიკლიდან

### „დროის იარაღები“

90-იანი წლების შუა ხანებიდან, სულ უფრო რომ გაიკვალა ჩვენი გზა დასავლეთისაკენ, განდებოდა არასამთავრობო გაერთიანებათა ის ტიპიც, რომელიც თანდათანობით კიდევ მომძლავრდებოდა და შესაძინევი გახდებოდა მათი ჩარევა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებით მოიფინებოდა ჩვენი ქვეყანა. არადა, სახელიც რა მარჯვედ და მოხდენილად შერჩეულიყო: არასამთავრობო.

მარჯვედ და მოხდენილად - შენიღბვისათვის!.. თორემ რისი რა არასამთავრობოები იყვნენ და არიან ის პატარ-პატარა ჯგუფები, სამთავრობოებად რომ უფრო წარმოგვიდგებიან, განსაკუთრებით მაინც ისინი, ყველაზე დაუზოგავად და უდი-



დესი ენერგიით რომ გვიპირებენ ტელევიზიები, უპირველესად კი ის „რუსთავი-2“, თავისუფალი ტელევიზიის ნიღბით რომ შემოიყვანეს იმთავითვე და იმ „არასამთავრობოთა“ საპროპაგანდოდ, უნუ გეშოდ რომ დაშორდებოდნენ ეროვნულ და საქვეყნო ინტერესებს და უნინარესად ძირს უთხრიდნენ აზრის თავისუფლებას.

დაიხ, ცდილობდნენ, თავისუფალი აზრის სახელით დაეტრფუნათ თავისუფალი აზრი და იდეურად მოემზადებინათ ის ახალი რეალობა, ოლდოს პაქსი და მისი მიმდევარნი - ჯორჯ ორუელი, კურტ ვონეგუტი თუ სხვანი - რომ იწინასწარმეტყველებდნენ საბჭოური ცხოვრების თარგზე - სრულ გადაგვარებას ადამიანისა.

თითქოს ის საზარელი რეალობა შემოგვიტროა აღდებოდა.

ან რაღა თითქოს.

ამ იდეურ საფუძვლებზე ამოშენდებოდა ნაციონალურ მოძრაობად შენიღბული მმართველობა, რომლისგანაც ჯერაც ვერ დაგვიღწევია თავი, რადგან კოპიტატივის დამკვიდრებამ, როგორც „ზემოურთავან“ მოთხოვნილმა ცხოვრების წესმა, გადაარჩინა არასამთავრობოებად შენიღბული პარტიული უჯრედები, რომელთა დაუმცხრალი პროპაგანდაც გრძელდება და გრძელდება, და არა მხოლოდ „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან.

შეუძლებელია, მწარედ არ გაგვიღიღოს ხოლმე: „ხალხისათვის მზრუნველი“ ეს ჯგუფები ისე ერთბაშად ჩამოიგლეჯენ ნიღბებს და აღიმართებიან ნაციონალურად თვითგამოცხადებული პარტიულების გვერდით, იმათთვის უსამოყენო წუთები რომ ჩამოჰკრავს ხოლმე, აღარაფერს ერიდებიან.

ანკი ვის და რატომ უნდა მოერიდონ, პასუხს მოსთხოვთ ვინმე თუ რა?

წამით შევხედულებათ მოქმედების არეალი თუ რა გეონიათ?

ამხილეთ, ვიდრე მოგებზრდებოდეს, ბუზსაც არავინ აუფრენთ.

**ამიტომაცაა, რომ ვეღარ გავიგებთ, დასრულდა თუ არ დასრულდა ის მხადაღებულ ცხრაწიანი ჯოჯონი, რომელზეც დასაბამი უზრუნველყოფის არ გაცხილავია.**

ამაოდ ექადნებოდნენ ხელისუფლებიდან გასტუმრებულ გუნდს: რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთო!..

ჯერაც წარმატებით ნახულობენ, რაც ნებავთ და როგორც ნებავთ, და არც რაიმე ნიშნები ჩნდება საიმისო, ეს პარპაში, ეს იდეური ტერორი ალიკვეთოს.

პოლიტიკურად რა - რაიმე მოაკლდა მათ მიზანდასახულ სწრაფვას?

არასამთავრობოები რა - რაიმეს შეცვლას აპირებენ თავიანთ საქმიანობაში?

უფრო უსტად, ის ნაწილი, ეპრანიდან რომ არ ჩამოვლიან და ენერგიულად გვიჩივიან, რომ სიკეთე ბოროტებაა, სიბატონი სიძრუაა, ღირსება უღირსობაა, კეთილშობილება უკეთურობაა, გმირი კაცუნაა... კაცუნაა გმირი, კაცუნა, და ბოროტებაა ის უზენაესი სიკეთე, რომლის გულისთვისაც უნდა ვიღვწოდეთ და არას ვზოგავდეთ, თვის სიცოცხლის ჩათვლით.

კანონშემოქმედებითი საქმიანობა - ეს ვინ-რო სფერო - შეურჩევიათ ამ არასამთავრობოებს თავიანთ სამოქმედო არეალად და თავისთავად დასაუნნი რა შეიძლება იყოს კანონ-შემოქმედებაში, ეს კანონები ჩვენი ქვეყნის საზიანოდ რომ არა მუშავდებოდეს და ჯერ პარლამენტს არ ახვედნენ თავს, რათა შემდგომ საყოველთაო სტილად დაემკვიდრდეს.

ახალმა ხელისუფლებამ ისიც ვერ შეძლო, არასამთავრობოთა მეტ-ნაკლებად ძლიერი გუნდები შეექმნა თავიანთ პარტიულ უჯრედებად.

ჯერ ეს რა სიკეთე შეიძლება იყოს და... მთლად წინა მთავრობას რომ დარჩენია ამ მხრივ ბურთიც და მოედანიც?!

ვერ ვიტყვი, რომ წრფელადაც არ იქმნებოდეს არასამთავრობო ორგანიზაციები, სულაც რომ არ ცდილობენ ამა თუ იმ მთავრობასთან მიწებებას და მართლაც საქვეყნო საზრუნავი გაუხდიათ თავიანთ მიზნად და მიწოდებდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც - ენტა ბოლომდე გვაქვს თუ არა შეცნობილი და გასიგრძელებული ის მოვალეობა და ანდერძი, რაც მეგვიდრეობით გადმოგვცემია და უმნიშვნელოვანეს საქმეთა აღსრულებას გვაავალდებულებს?!

ვისი მეგვიდრენი ვართ ამ მხრივ და რომელ გაერთიანებათა კვალს და გეზს უნდა მივყვებოდეთ, თუკი ამ გზით ვაპირებთ ქვეყნის შევლას?

ვისი და: სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული ამსახავების.

დიმიტრი ყიფიანის ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის.

ილია ჭავჭავაძის ქართული შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ეპთორი თაყაიშვილის საქართველოს სასტიკი დანაშაულები და საეთნოგრაფიო საზოგადოება.

კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროვას აკადემიური ასოციაციის.

მიხეილ ჯავახიშვილის „არიფონის“.

ვიკინგ გამსახურდიას ჰელსინკის კავშირის.

აქამდე არ დაფიქრებულვართ, რომ ყველა ეს გაერთიანება არსებითად წარმოადგენდა არასამთავრობო ორგანიზაციას, თუმც ეს სახელწოდება მაშინ გავრცელებული არა ყოფილა?

ახლა დაფიქრდეთ და თარგად და ნიშნულად გაეცხადეთ მათი მიზანდასახულებაც და მასშტაბურობაც, სიმბოლოდ და ორიენტირად.

უპირველესად კი მაინც ის, რომ მართლაც თავისუფლების სულს ზრდიდნენ და, ხალხის წიაღიდან ამოზრდიდნენ და ხალხის მაჯისა შემატყობდნენ, ხელისუფლებას ედავებოდნენ და ისე ცხარედ და შეუპოვრად, საკუთარი სისხლის დანთხევასაც არ ერიდებოდნენ უთანასწორო ბრძოლაში.

სოლომონ დოდაშვილი დაჰკირავდა თავისი სისხლით არასამთავრობოთა მოღვაწეობას და კიდევ განსაზღვრავდა მათ ბედს.

და თუ ვინ არის ჭეშმარიტი მეგვიდრე მათი, ვინ უნარჩუნებს ჭეშმარიტ მიზანსა და სულს კვეთებას არასამთავრობო ორგანიზაციის, ისეთს, როგორც უნდა იყოს სინამდვილეში, ამაზე - სხვა დროს, მითუმეტეს, რომ ჩემი კარნახი არც არავის დაგჭირდებათ, ისედაც ცხადლივ ამოგესახებათ თვალწინ მათი უშუალო შთამომავალი, ის გუნდი, ამ სულიერებას რომ ინარჩუნებს და მიმოფენს ქვეყნად იმ დაუმცხრალი იმედოვნებით, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს. ამჯერად კი მხოლოდ ეს გავაცნობიეროთ: რა მოვალეობა გვეკისრება და რა გზასავალზე უნდა შევდგეთ, არასამთავრობო გაერთიანებად თუ შევრაცხავთ თავს.

როგორ - ჩვენც არასამთავრობოები და... ისინიც, ის დიდებული წინამორბედნი?!

**აუცილებელი არ არის, მაინცდამაინც მასშტაბურობით შევეტოლოთ, მთავარია, რომ მათი სული ფოლავდეს ჩვენშიც და მათ ბილიკებს დავეძებდეთ, ბალახგადავლილსა და შამბოლებულს...**

როსტომ ჩხეიძე



## „რესპუბლიკელი“

### ზიანს პირ მოგაყენებენ

„არ მგონია, რომ „რესპუბლიკელებს“ შეუძლიათ რაიმე ზიანის მიყენება, თავისუფალი დემოკრატიისთვის“, - ამ განცხადებას „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე აკეთებს და დასძენს, რომ საზოგადოებამ უკვე კარგად გაარკვია, თუ ვის უნდა მისცეს ხმა და ვის უნდა დაუჭიროს მხარი. „აქედან გამომდინარე, „რესპუბლიკური პარტია“ თუ ვინმეს არჩევნებზე ხმას წაართმევს, ეს „ქართული ოცნება“ იქნება. „რესპუბლიკური პარტია“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ გაცილებით მეტი საერთო აქვთ, ვიდრე „რესპუბლიკური პარტია“ და „თავისუფალი დემოკრატებს“, ან „ნაციონალურ მოძრაობას“ და „თავისუფალი დემოკრატებს“.

## „საქართველოს განვითარების ფონდის“

### თბილისის თემატურ ჯგუფს

### ლალო კახაძე შეელოკვანალებს...

„საქართველოს განვითარების ფონდის“ თბილისის თემატურ ჯგუფს ლალო კახაძე უხელმძღვანელებს. თანამდებობაზე პაატა ბურჭულაძემ წარადგინა. სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებას აგიკ მირზოვეი ჩაიბარებს, რაც შეეხება სპორტის თემატურ ჯგუფს, პაატა ბურჭულაძის განცხადებით, მას ლაშა დვალის შვილი უხელმძღვანელებს.

დღემდე „პაატა ბურჭულაძის საქართველოს განვითარების ფონდში“ რამდენიმე თემატური ჯგუფია, მათ შორის სამართლის, რომელსაც დავით ჯანდიერი ხელმძღვანელობს, საგარეო მიმართულება გიორგი რუსაძეს, შიდა პოლიტიკის თემატური ჯგუფი კი - სათუნა ლაგაზიძეს აბარია. ეკონომიკური მიმართულებით ფონდის საქმიანობას ირაკლი ყიფიანი და გიორგი პაპავა ხელმძღვანელობენ.

რაც შეეხება ინოვაციებს და ტექნოლოგიებს, ფონდში ამ მიმართულებით ტარიელ ჭულუსაძე მუშაობს. ახალგაზრდული მიმართულებას გიორგი თაქთაქიშვილი, ხოლო განათლების სფეროს - ქეთი ნიჭარაძე ხელმძღვანელობს. პაატა ბურჭულაძის განცხადებით, სამომავლოდ კვლავ იგეგმება სხვადასხვა თემატური მიმართულებების და მათი ხელმძღვანელების წარდგენა.

## ბალტიისპირაში ნითელი ღვინოების

### დგუსტაციები გაიხარა



ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსსა და ქალაქ კაუნასში, ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციები სახელწოდებით „ნითელი ღვინოები საქართველოდან“ („Red Wines From Georgia“) გაიმართა. ვილნიუსში გამართულ ღვინოსა და მონაწილეებს მიესალმა ლიტვაში საქართველოს სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი ნათუნა სალუქვაძე. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, პრეზენტაციას უძღვებოდნენ ლიტვის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი არუნას სტიარკუსი და ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩოლობარგია.

„დეგუსტაციების მიზანია, ადგილობრივ ღვინის პროფესიონალებში ქართული ღვინოების ცნობადობის გაზრდა სტილის, ჯიშობრივი მრავალფეროვნებისა და სხვა თვისებების მიხედვით. ბალტიისპირეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი საინტერესო და პერსპექტიული საექსპორტო ბაზარია. მარკეტინგული გეგმის თანახმად, წლის განმავლობაში ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და გაყიდვების გაზრდას ამ ქვეყნებში“, - აღნიშნა ირაკლი ჩოლობარგია.

დეგუსტაციებზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები: „შალვინო“, „ქართული ღვინის სახლი“, „ლუკასი“, „კახური“, „ქართული ლეგენდები“, „გაინიწი“, „მეღვინეობა ხარება“, „გინიწი“ და „უსახელაური“. ღვინოსა და სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული, სხვადასხვა დასახელების ნითელი ღვინოები: საფერავი, სვანჭკარა, მუკუზანი, ალაზნის ველი, ქინძმარაული, ოჯალეში, უსახელაური და ოცნანური საფერე. ნითელი ღვინოების ანალიტიკური პრეზენტაცია-დეგუსტაცია 7 აპრილს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართება.

გორის სიხე



ეკონომიკური მდგომარეობა

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მომსახურების საქმეში.

სოფლის მეურნეობა

XI-XII სს.-ში შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პროგრესი, რაც თავის მხრივ, სხვადასხვა დარგების განვითარებას განაპირობებდა.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით დგინდება, რომ საქართველოში ითვისებოდა: იფქლი, დიკა, ქრთილი, ქერი, ფეტვი, ცერცვი, ოსპი და სხვ.

ფართოდ იყო გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების მქონე ტექნიკური მცენარეები: სელი, კანაფი და სხვ. სელის კულტურა ძველთაგანვე იყო განვითარებული და შემდეგშიც ფეოდალური საქართველოს მეურნეობა-მრეწველობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა.

ძველთაგანვე განვითარებული იყო მევენახეობა. XII საუკუნეში იგი ახალ აღმავლობას განიცდის. არ არის შემთხვევითი, რომ XI-XII საუკუნეების ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებაში ხშირია ყურძნის მტევნისა და ვაზის ფოთლის გამოსახულებები.

საგულისხში, რომ ღვინო და ხილი მრავალგზის იხსენიება „ვეფხისტყაოსანში“. დიდი ადგილი ეკავა განვითარებულ მეზღვეობა-მეზღვეობას, რაზედაც ისტორიული წყაროები საგანგებოდ მიუთითებენ.

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მალაგანეთარებულ მეცხოველეობას. ეს დარგი უპირატესად მთიან რაიონებში იყო გავრცელებული. განვითარებული იყო როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მესაქონლეობა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. აბრეშუმი ექსპორტის საგანიც იყო.

საქალაქო ცხოვრება

XII საუკუნის პირველ მეოთხედში განვითარების ახალ საფეხურზე ადის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ადგილი თბილისსა და ქუთაისს ეჭირა.

ნები, ვაჭრები) ხელსაყრელი პირობების შექმნას. გზების პირას ქარვასლები და თავშესაფრები ააგო, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამის გათევა.

დავით აღმაშენებლის დროს დანიშნულნი იყვნენ ქალაქები: აღმოსავლეთ საქართველოში - თბილისი, რუსთავი, ატენი, გორი, უფლისციხე, ჟინვანი, სურამი, ალი, ზოვრეთი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარაღეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, არტანანი, თუხარისი, თელავი, ხორნაბუჯი; დასავლეთ საქართველოში - ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათომი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსი.

ქალაქები ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. დავით აღმაშენებლის დროის ქალაქების აღმავლობა განაპირობა განვითარებულმა ხელოსნობა-ვაჭრობამ, სატრანზიტო გზებთან სიახლოვემ და სავაჭრო კავშირურთიერთობამ (ექსპორტი-იმპორტი). დანიშნულნი იყვნენ მეთუნე-მეცვეობა, მეჭურჭლეობა, მეავაჯეობა, ოქრომჭედლობა.

ქართველ ვაჭარ ხელოსანთა გვერდით ბევრი მუსლიმანი იყო. ხელოსანთა უმეტესი ნაწილი არათავისუფალი იყო. ისინი ბატონყმობის უღელში იყვნენ შებმულნი და საქონელს მთლიანად ბაზრისთვის კი არ აწარმოებდნენ, არამედ „სავაჭრო გარეშე“ მუშაობდნენ თავიანთი „პატრონებისათვის“. ცალკე იყვნენ „შენიშნული ხელოსნები“, „ყმა ხელოსნები“ და „მსახური ხელოსნები“. „შენიშნული ხელოსნები“ ეკლესიამონასტრებს ყავდათ. „ყმა ხელოსნები“ თავიანთ „პატრონებზე“ იყვნენ მიჯაჭვული და მათი ნება-სურვილის მიხედვით საქმიანობდნენ. „მსახური ხელოსნები“ სამუშაოს შესრულებისათვის სასყიდელს ან სხვა გასამრჯელოს იღებდნენ.

საქართველოს ქალაქების ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავათ ვაჭრებს. ისინი ხელოსნურ ნაწარმს ასაღებდნენ. ეს ვაჭრები საქალაქო ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში იღებდნენ მონაწილეობას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სა-



XII საუკუნის მონეტები


მეფო ხელისუფლება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, სხვადასხვა დარგის განვითარების, საქალაქო ცხოვრების (ხელოსნობა-ვაჭრობის) აღორძინების ხელშეწყობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას აღწევდა.

საფინანსო ღონისძიებები

დავით აღმაშენებელმა მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებებიც გაატარა.

როცა არაბთა ბატონობა საბოლოოდ შესუსტდა (X საუკუნის დამლევით), საქართველომ გარკვეული ურთიერთ-

ბა დაამყარა ბიზანტიასთან. ამან თავისი ასახვა პოვა ქართული მონეტის გარეგნობაში. მონეტაზე გაქრა მუსლიმური ნიშნები და მისი ადგილი დაიკავა ქრისტიანულმა ემბლემამ - ჯვარმა ან კიდევ ღვთისმშობლის გამოსახულებამ. ძირითადი წარწერები ბერძნულია და შეიცავს არა მარტო მეფეთა სახელებს, არამედ მათ ბიზანტიურ ტიტულებსაც. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იმ-



„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

დროინდელი მონეტა მხოლოდ ვერცხლისაა. ასეთებია მაგალითად: დავით კურაპალატის, ბაგრატ მეოთხის, გიორგი მეორის, დავით აღმაშენებლის მონეტები.

დავით აღმაშენებელმა გააგრძელა ვლადიმერის გამოსახულებიანი მონეტების მოჭრა და მანვე დაუსვა წერტილი ამ ტიპის ფულის შემდგომ წარმოებას. ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის მონეტებთან შედარებით ვლადიმერის გამოსახულება აქ გაუხეშებულია; დავით აღმაშენებლის მონეტის წონამ დავით კურაპალატის მონეტის წონასთან შედარებით ერთი-სუთად იკლო. წონის დაკლება თანდათანობით ხდებოდა და სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ მონეტების გაუარესება მხოლოდ საქართველოსათვის არაა დამახასიათებელი, - მსგავს პროცესებს ადგილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც სპეციალისტების აზრით, აღმოსავლურ ქვეყნებში იმ დროს გავრცელებული „ვერცხლის კრიზისის“ შედეგია.

იმდროინდელი წერილობითი წყაროები ქართული ფულის ზომისა და წონის თანდათანობით შემცირების მიზეზების შესახებ ცნობებს არ იძლევიან. „ვერცხლის კრიზისის“ შეიძლება გამოეწვია ჩვენი მონეტების წონის შემცირება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არსებითი და ძირითადი მიზეზი, რომ საქართველო XII საუკუნის პირველ მეოთხედში ეკონომიკურად მოძლიერებული ქვეყანაა და ხაზინაც მდიდარი აქვს. თანაც, მონეტათა შემცირება რომ მხოლოდ „ვერცხლის კრიზისის“ ბრალი იყოს, ვლადიმერის გამოსახულების კარგად ამოკვეთას რაღა დაუდგებოდა წინ.

ეკონომიკურად დანიშნულ საქართველოში ფულის კურსი თანდათან მტკიცდებოდა. ფულის კურსის სიმტკიცე მის სამონეტო ფუნქციის დამოუკიდებელს ხდიდა მისი წონისაგან, ე.ი. უფრო ნაკლები წონის მქონე ვერცხლის მონეტას შეეძლებოდა წინანდელი ფუნქცია შეესრულებინა.

ცნობილია დავით აღმაშენებლის მი-

ერ მოჭრილი ახალი ტიპის მონეტა (იგი 1949 წელს, გ.ჩუბინაშვილმა სვანეთში მოიპოვა და ჩამოიტანა), რომელსაც ადრე გიორგი მეორეს მიაკუთვნებდნენ, მაგრამ შემდგომი კვლევის შედეგად შეჯამდა ზედწერილების ნაწყვეტები და ეს ზედწერილი შემდეგნაირად აღდგა: „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევესტოსი“. ეს მონეტა ტიპოლოგიურად არ განსხვავდება ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის მიერ მოჭრილი ფულისაგან. აქედან დასკვნა: დავით აღმაშენებელი თავისი ფინანსური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იმავე სქემის მიხედვით სჭრიდა ფულს, როგორც ბაგრატ მეოთხე და გიორგი მეორე, შემდგომში კი მან მონეტის ტიპი შეცვალა.

XII საუკუნის პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოსათვის დამახასიათებელია ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“. სპილენძის მონეტებს იძულებითი ვერცხლის კურსი ჰქონია. ეს მონეტები საკრედიტო ფულის ფუნქციას ასრულებდა. მეტად საინტერესოა გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი სპილენძის მონეტა, რომელსაც ასეთი არაბული წარწერა აქვს: „მეფე მე-

როინ მებრძოლი

უპიკ საეფოკ ბანესეპული

ფეთა დავით, ძე გიორგისი, მახვილი მესისა“.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველო ტიპი ძირფესვიანად იცვლება (ფაქტურა, წარწერების შინაარსი). არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სამონეტო საქმეში ცვლილება სწორედ დავით აღმაშენებელს შეუტანია. იგი აღწერს დავითის მიერ ახლად მოჭრილ ფულს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ მუსლიმანური ტიპის არაბულ ზედწერილიანი მონეტის მომჭრელი დავით აღმაშენებელი ყოფილა.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში ინახება დავით აღმაშენებლის მოჭრილი მონეტა, რომლის შუბლზე დავით აღმაშენებლის გამოსახულებაა მოთავსებული. მეფე წვერებიანია, მას ხელთ უჭერია სფერო. გამოსახულების მარცხენა მხარეს მოთავსებულია ასომთავრული წარწერა „დთ“ (დთ - დავით), სოლო მარჯვნივ „მეფე“ (მეფე). მონეტის ზურგის ცენტრში ჯვარია მოთავსებული ჩარჩოში. ირგვლივ ასომთავრული წარწერა (ქარაგმით): „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კასთა და სომენთა“. მონეტა შეიცავს დავით აღმაშენებლის პორტრეტსა და მის სრულს სამეფო ტიტულს, რომელიც ემთხვევა XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს პოლიტიკურ ძლიერებას.

ამრიგად, XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სამეფო კარმა გაატარა მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, რაც შემდეგში გამოიხატა:

- 1. შეიცვალა მონეტის ტიპი.
2. მონეტის ტიპის არსებით ცვლილებასთან ერთად განმტკიცდა ფულის კურსი.

დავით აღმაშენებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამართლის საკითხებს. მის სახელთანაა დაკავშირებული „საჯო კარის“ გარდაქმნა, რომელიც მუდმივმოქმედ სასამართლოს წარმოადგენდა. ახალი სამართლებრივი სისტემა მოსახერხებელი და ადვილად მისადგომი გახდა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

საბარკო პოლიტიკა

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს.

ქართული ნარატიული წყაროების უძველესი ცნობები რუს-ვარანგებისა და ქართველების კონტაქტის შესახებ XI საუკუნის განეკუთვნება (სუმბატ დავითის ძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ და უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“). საგულისხმოა, რომ რუს-ქართველთა შეხვედრის ერთ ფაქტს აღწერს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი (ასოლიკი). ზემოხსენებული ცნობები XI საუკუნისაა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ქართველთათვის ცნება „რუსი“, ისე როგორც რუსის ხალხი, ადრეც არ ყოფილა უცნობი. თუნდაც ის ფაქტი, რომ სუმბატ დავითის ძე „რუსს“ ყოველგვარი კომენტარის გარეშე იხსენიებს, დასტურია იმისა, რომ ეს ცნება XI საუკუნემდეც არ იყო უცხო ქართველთათვის. „რუსის“ ბადალი ტერმინებია ქართულ მატიანეებსა და საბუთებში მოხსენიებული „ვარანგი“ (ვარიანგი) და „სკვითი“. ქართული წყაროები იცნობენ ტერმინ „სკლავ“-საც (სლავი). ეს ტერმინი ზოგ შემთხვევაში „ბორღალთან“ (ბულგარელი) არის გაიგივებული.

ქართველთა და ვარანგთა ურთიერთობის შესახებ მეტად საინტერესო ცნობაა დაცული „მატიანე ქართლისა“-ში. თხზულებაში იქ, სადაც ლაპარაკია საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხესა და კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ბაღვაშს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ აღნიშნულია, რომ მათ ბრძოლაში მონაწილეობდა სამი ათასი „ვარანგი“ (ვარიანგები).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, თუ ვის მხარეზე იბრძოდნენ ვარანგნი. ჩვენი დაკვირვებით, ვარანგნი სწორედ საქართველოს მეფეს უმაგრებდნენ ზურგს. ასე ესმოდა ეს ფაქტი ვახუშტი ბაგრატიონსაც, რომელიც აღნიშნავდა: „ხოლო ბაგრატს მოერთენ სამი ათასი ვარანგნი; მოიყვანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა ქართველნი...“ და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ ვარანგები შავი ზღვითა და მდინარე რიონით მოვიდნენ ბაშაბდ (როგორც ითქვა, სოფელი ბაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო რიონის სანაოსნო მაგისტრალზე), რომელიც მეფესა და მის ადმინისტრაციას ემორჩილებოდა (ბაგრატ მეოთხის სატახტო რეზიდენციაც დასავლეთ საქართველოში - ქუთაისში იყო).

ამგვარად, „მატიანე ქართლისა“ ნათელყოფს, რომ უკვე XI საუკუნის შუა

უნდა დაეინახოთ ის ფაქტი, რომ კიევის დიდმა მთავარმა მართლაც მიიღო მონაწილეობა ყივჩაყთა გადმოსახლებაში. ეს „მონაწილეობა“, თავის მხრივ, დავით აღმაშენებელსა და ვლადიმერ მონომახს შორის მოლაპარაკებას უნდა გულისხმობდეს.

საყურადღებოა XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან მიმონერაში დაცული ქართველ მეფეთა ტიტულატურები, რომლებიც მათ მუსლიმანი მფლობელები მოიხსენებენ. აი, ზოგიერთი მათგანი. „აბხაზის პატრონად“ არის სახელდებული მეფე დავითი: „...ქრისტეს მონაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანისა და რუსის მეფეთა-მეფისა“ და ა.შ. სხვა წერილში ვკითხულობთ: „... აბხაზთა მეფეთა-მეფეს; რუმისა და რუსის მარზბანის; ქრისტეს სარწმუნოების შემწის (დღეგრძელიმც ჰყოს ალლაჰმა მეუფება მისი და მარადი ჰყოს სამეფო მისი)...“; ან კიდევ: „... ქვეყანათა მფარველი, გურჯის, აბხაზის, ალანის, შაქისა და ხაზარის მეფეთა მეფე...“. პირველ ორ შემთხვევაში „აბხაზი“ ნიშნავს სრულიად (აღმოსავლეთ და დასავლეთ) საქართველოს. ეს აღმოსავლეთის სხვა ავტორებთანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ხაყანი შარვანი (XII ს.) გვამცნობს, რომ „აბხაზს მოსახლე გახვდი და ქართულად მოლაპარაკე“. მესამე წერილში აბხაზი და გურჯი ერთადაა ნახსენები. ე.ი. აბხაზი არ არის ნახმარი სრულიად საქართველოს მნიშვნელობით (სავარაუდებელია იგი დასავლეთ საქართველოს გულისხმობდეს). საინტერესოა წერილების ადრესატის „რუსის მეფეთ-მეფედ“, ან „რუსის მარზბანად“, ან კიდევ „ხაზარის მეფეთა-მეფედ“ მოხსენიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, აქ „ხაზარი“ ჩანს „რუსის“ ბადალი. ამის დადგენა ქართული წყაროებითაც შეიძლება. ხაზარეთის ყოფილი ტერიტორია თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარვანდედთან“) მიერ რუსეთად არის მიჩნეული. „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხეებში (დადიანისეული, მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული და სხვ.), იქ სადაც ხაზარეთზეა ლაპარაკი, არშიაზე წერია: „ხაზარეთი რუსეთიაო“.

როგორც ცნობილია, რუსი არა მარტო თანამედროვე რუსეთის ჩრდილო ნა-

სხვა ჩრდილოკავკასიელი ეთნიკური ელემენტებისაგან თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. ალანთა სამეფოს („მულქ ალ-ალანი“) მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.

მეგობრული და კეთილი იყო ქართველ-სომეხთა ურთიერთობა. სომეხური ტერიტორიები დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული საქართველოს უშუალო შემადგენლობაში შედიოდა (ეს დამოკიდებულია თემურ-ლენგის შემოსევამდე გაგრძელება).

საქართველოს სამეფო კარი დიდ ყურადღებას უთმობდა შირვანთან ურთიერთობის საკითხს. მას შემდეგ რაც კა-



სეთ-ჰერეთი შემოერთებული იქნა, შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა და შირვანშაჰთან ურთიერთდამოკიდებულებას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა. გარკვეული პოლიტიკური შინაარსი იყო ჩადებული 1116 წელს დავით აღმაშენებლის ასულის თამარის და შირვანშაჰის მემკვიდრის ქორწინებაში.

სხვადასხვა გარემოების გამო დავით აღმაშენებელმა რამდენჯერმე დალაშქრა ეს ქვეყანა. შირვანის ციხე-ქალაქებში საქართველოს მეფის გარნიზონები ჩადგნენ, საქმეთა გამგებლად კი ვაზირი სვიმონი - ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ბედიელ-ალავერდელი დაინიშნა. აქედან მოკიდებული შირვანი იყო ფეოდალური საქართველოს შემადგენლობაში. სწორედ ამ დროიდან (XII საუკუნის ოციანი წლები) ატარებდნენ ქართველი მეფეები „შირვანშაჰის“ ტიტულს.

**უკიდურესი პერიოდები**

ნიშანდობლივია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „ამას უამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღილეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწვენითა აღმოსავლეთა მოეშენა ქუეყანა ქართლისაჲ, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“. (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისაჲ, „ქართლის ცხოვრება“, თბ., 2008, გვ. 309). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორც თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტა და ქვეყნის მოშენება-გაძლიერება იყო, იერუსალიმისა და ანტიოქიის აღებას უკავშირებს.

ჯვაროსანთა გამოჩენამ, მათმა წარმატებებმა ახლო აღმოსავლეთში დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. თავის მხრივ, საქართველოს მეფის წარმატებული ბრძოლა თურქ-სელჩუკებთან ჯვაროსნების ნისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომ იყო, რომ ჯვაროსნების მიერ ახლად დაარსებული სამთავროები თურქ-სელჩუკთა განდევნისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს თავიანთ მეგობრად თვლიდნენ.

წყაროებიდან აშკარაა, რომ დავით აღმაშენებელი მეტად პოპულარული იყო ჯვაროსანთა შორის. იოანე ბატო-

ნიშვილის „კალმასობაში“ დაცულია ცნობა, რომ იერუსალიმის მეფეს ბოლდუინ II-ს (1119-1131 წწ.) გარკვეული კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. ისინი საიდუმლოდაც ხვდებოდნენ ერთმანეთს.

დავით აღმაშენებელი და მისი დროის საქართველო კასპიის კარის დამცველად და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჯვაროსანთა „წინააღმდეგ“ მოიხსენიებოდა. საქართველო ჯვაროსნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა.

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობას მეტად საინტერესოდ გამოხატავს ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება იერუსალიმის ქართველთა

ჯვრის მონასტრისადმი. ჯვაროსნების მიერ 1099 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ დაარსდა დასავლეთევროპული ტიპის მსხვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, რომელსაც იერუსალიმის სამეფო ეწოდებოდა. ამ დროიდან მოკიდებული სამეფოს ტერიტორიაზე მდებარე მართლმადიდებლური ტაძრები ლათინებმა დაისაკუთრეს, მაგრამ ქართველთა ჯვრის მონასტრის ხელი არ ახლეს. ჯვაროსანთა ეს მოქმედება განაპირობა იმ სამხედრო-პოლიტიკურმა ურთიერთობამ, რაც ქართველებსა და ჯვაროსნებს შორის იყო. ჯვაროსნები, თურმე, ბევრ სიმდიდრეს სწირავდნენ ქართულ მონასტრებს, რის გამოც ისინი საგანგებოდ მოიხსენიებიან ალაპებში. დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში ჯვაროსნების („ფრანგნი“) მონაწილეობა ასევე მიგვანიშნებს საქართველოს კონტაქტებზე ევროპის ქვეყნებთან.

დავით აღმაშენებლის მრავალმხრივი მოღვაწეობა გამოირჩეოდა დიდი მასშტაბურობით. წინ ქვეყნის წინსვლის დიდი გეგმები იხსენებოდა... სწორედ ამ დროს „... უამსა ზამთრისასა, მშვიდობასა და დანყნარებასა ყოვლისა სამეფოსასა, არა გარეგნად მენაკიდურესა, არამედ საშუალო თვისთა სამეფოთა ადგილთა“, საქართველოს დედაქალაქ თბილისში გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი.

ეს იყო 1125 წლის 24 იანვარი. ორმოცდაცამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა „მესიის მახვილად“ შერაცხული საქართველოს მეფე, რომელმაც ოცდათექვსმეტი წელი მეფობისა ქვეყნის გაძლიერებისა და აღმავლობის საქმეს მოახმარა. იგი დაიკრძალა მის მიერვე აგებული და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. საქართველოს სამეფო ტახტი დავით აღმაშენებლის მემკვიდრემ დემეტრე I-მა (1125-1156 წწ.) დაიკავა.

**აწონი**  
**მორიგ ხუთშაბათს წაიკითხეთ:**  
**„სთესდის მადლსა და სიბრძნესა“**  
**(შეფასების ცდა)**



წლებში ქართველებსა და ვარანგებს არა მხოლოდ შორეული ნაცნობობა, არამედ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. „რუსი“ ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოღებული არაერთ ნაწარმოებში გვხვდება. პავლე ალექსიელის ცნობით, დავით აღმაშენებლისათვის დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ, რომელთა საშუალებითაც მტერი უნდა განედევნათ. ამ ძალაში ყივჩაყები უნდა იგულისხმებოდეს. რუსი მემკვიდრეები ვლადიმერ მონომახს მიანერგნ ყივჩაყების განდევნას „რკინის კარებს“ იქით საქართველოში, და არა საქართველოს მეფეს, რომელმაც ეს ღონისძიება უშუალოდ გაატარა. რუსი მემკვიდრის კატეგორიულ ცნობაში ჩვენ

წილს ეწოდებოდა, არამედ იმიერკავკასიაში დაფუძნებულ გარკვეულ ერთეულსაც (რუსთა ერთ გარკვეულ შტოს) აღნიშნავდა და ამავე მნიშვნელობით იყო ნახმარი ეს ტერმინი ქართველი ადრესატებისადმი გამოგზავნილ წერილებში. ეს რუსი მონყვეტილი იყო პირვანდელ საცხოვრისს და ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა საქართველოს. როგორც ჩანს, ეს ერთობლივ ბაგრატიონთა სამეფო სახლის გაუქვლის ქვეშ მოქცეულია XII საუკუნეში.

დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით ოსებთან და ყივჩაყებთან ურთიერთობას. ოსები (ალანები) გამოირჩეოდნენ



# რუსეთის სამიზნეები სირიაში

სირიის კამპანიის დროს რუსეთის მიერ განხორციელებული საავიაციო დარტყმების ძირითადი სამიზნე იყო არა IS, არამედ სამოქალაქო ობიექტები, მათ შორის საავადმყოფოები და მეჩეთები. ამის შესახებ ატლანტიკური საბჭოს ექსპერტთა ფაქტების მომპოვებელი მისიის ანგარიშშია ნათქვამი, რომელიც სირიაში რუსეთის სამხედრო კამპანიას ეხება.

„ეს ანგარიში არის რეალურად სირიაში რუსეთის კამპანიის შესახებ. რუსეთმა განახორციელა საავიაციო დარტყმები ჰოსპიტლებზე, წყლის გადასამუშავებელ ნაგებობებზე, მეჩეთებზე. რუსეთმა გამოიყენა კასეტური იარაღი და თითქმის ყველა შემთხვევაში გაანადგურა არა „ისლამური სახელმწიფოს“ სამიზნეები. ეს არის სიმართლე, რომელიც უნდა იყოს გაცნობიერებული რუსეთთან მოლაპარაკებების დროს“, — განაცხადა ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა დეიმონ უილსონმა.

მისივე თქმით, რუსეთის სამხედრო კამპანიამ ასადის ძალებს საშუალება მისცა, დაკარგულ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ.

ანგარიშზე მომუშავე ექსპერტების

განცხადებით, კამპანიის დასაწყისში განხორციელებული 30 საავიაციო დარტყმიდან, „ისლამური სახელმწიფო“ სამიზნეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში წარმოადგენდა.

„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ ინფორმაციის საპასუხოდ განაცხადა, რომ არ დაეფერებინათ დასავლეთელი მოკავშირეების და პენტაგონის განცხადებებისთვის და რუსეთის თავდაცვის სამინისტროსგან გაეცათ იმის თაობაზე, თუ რას აკეთებდა რუსეთის სირიაში. ჩვენც ასე მოვიქვეყით. დავაკვირდით თავდაცვის სამინისტროს მიერვე გავრცელებულ ყველა ვიდეომასალას, რომელიც მათი რწმუნებით, IS-ის წინააღმდეგ მიტანილი იერიშებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. რაც ჩვენ ვნახეთ იყო ის, რომ პირველივე კვირებში, 30 დარტყმიდან IS მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო სამიზნე“, — განაცხადა კვლევის ავტორმა მაქსიმილიან ცუპერსკიმ.

ექსპერტების დასკვნით, სირიაში რუსეთი 2 მიზნით შევიდა: მან გადაარჩინა მოსკოვის დიდი ხნის მოკავშირე ასადი და ასევე მოახერხა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების უკრაინის მოვლენებიდან გადატანა.

# ნიდერლანდის მოსახლეობის მესამედს ევროკავშირში უკრაინის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასოცირებას

„Sputnik.მენია“ გამოკითხვის თანახმად, ნიდერლანდის მოსახლეობის მესამედი (33%) მხარს არ უჭერს ევროკავშირში უკრაინის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასოცირებას.

გამოკითხვა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო და რადიო Sputnik-სთვის კვლევითმა კომპანია Populus-მა მოახსოვა.

ევროკავშირში უკრაინის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასოცირების საკითხთან დაკავშირებით ნიდერლანდში რეფერენდუმი გაიმართება, რომელიც ევროპულ კავშირში შესვლისათვის აუცილებელი ნაბიჯია. Sputnik-ის გამოკითხვის თანახმად, ნიდერლანდის ყოველი მესამე მოქალაქე — 33% ანუ 3,5 მლნ ადამიანი — უკრაინის ევროკავშირში ასოცირების წინააღმდეგია. ასევე მალაღობა იმათი პროცენტული მაჩვენებელიც, რომელთაც აღნიშნულ კითხვაზე ნეიტრალური პოზიცია ან ბოლომდე ჩამოყალიბებული აზრი არა აქვთ — 28% და 20%.

პროცენტული მაჩვენებელი მათი, ვინც დადებითი პასუხი გასცა კითხვაზე, ნიდერლანდების საერთო მოსახლეობის 19%-ია. მანამდე ევროპის მაცხოვრებლები ანალოგიური რეფერენდუმის

თავიანთ ქვეყნებში გამართვის წინააღმდეგობით გამოვიდნენ. კითხვაზე „მხარს უჭერთ თუ არა უკრაინის ევროკავშირში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასოცირებას“, იტალიელების (66%), გერმანელების (63%) და ფრანგების (63%) უმრავლესობამ უპასუხა, რომ ევროკავშირში სხვა ქვეყნების ასოცირების საკითხის გადაჭრა საერთო რეფერენდუმის გზით სურს.

გამოკითხვა ნიდერლანდში ბრიტანულმა კვლევითმა კომპანია Populus-მა 2016 წლის 4-9 მარტს მოეწყო, რომელშიც 18 წელს ზევით ასაკის 1004-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. რესპონდენტები სქესის, ასაკის, გეოგრაფიული მდებარეობისა და პროფესიის მიხედვით იყვნენ შერჩეული.

„Sputnik.მენია“ — ეს არის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საერთაშორისო პროექტი, რომელმაც სტარტი 2015 წლის იანვარში აიღო. მისი პარტნიორები არიან ცნობილი კვლევითი კომპანიები Populus-ი, Ifop-ი და Forsa. პროექტის ფარგლებში ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში რეგულარულად იმართება გამოკითხვები აქტუალურ პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.



# დედაქალაქის ზურგზე



## პროკონკო დაგვირკა, შეაქაგაელი განადგომ უკრაინაში ოფორმების გამოყენება

უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აპირებს, „განახორციელოს მნიშვნელოვანი რეფორმები“. ამავე დროს პიკეტაჟი უარყოფს ვარაუდს იმის შესახებ, რომ მისი არქივების ტრანსფორმაცია ოფშორებში პრეზიდენტის პოსტზე მოსვლის შემდეგ ხდება გადასახადებისგან თავის არიდებისათვის. უკრაინის ლიდერმა განაცხადა, რომ „ეს გადაკეთა არა გადასახადების მინიმიზაციისათვის, არამედ ეს იყო გამჭვირვალე საქმიანობა“.

## ოპოზიციამ განაცხადა ევროპაში სამხედრო ინვესტიციების მნიშვნელოვანი შესახებ რუსეთთან დაპირისპირებისათვის

„ჩვენ ვახორციელებთ სამხედრო შესაძლებლობების ინვესტიციებს აგრესიის შეკავებისათვის და ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების უსაფრთხოების დაცვისათვის. და ეს ითვალისწინებს ჩვენი პოზიციის განმტკიცებას ევროპაში იმისთვის, რომ მხარი დავუჭიროთ მოკავშირეებს ნატო-სთან, განსაკუთრებით რუსეთის მხრიდან აგრესიულ მოქმედებათა გაძლიერების შუქზე“, — თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

## ლიბიაში ისლამისტების მთავრობამ მოიხსნა უფლებამოსილება გააკრძალა მოსული ჩინოვნიკების სასარგებლოდ

ეროვნული გადარჩენის პროსლამურმა მთავრობამ, რომელიც 2011 წლის შემოდგომიდან სხდომებს ატარებს ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლში, განაცხადა, რომ უარს აცხადებს ხელისუფლებაზე გაეროს მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ეროვნული ერთიანობის მთავრობის სასარგებლოდ.

## ნაქადა სავაიკომ მხარე შეიქმნა ლიბიაში

სამხედრო მოსამსახურე ნაქადა სავაიკომ, რომელსაც რუსეთის სასამართლომ ბრალი დასდო ორი რუსი ჟურნალისტის მკვლელობაში და 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მშრალი შიმშილობა დაიწყო.

ინფორმაცია სავაიკოს მიერ მშრალი შიმშილობის დაწყების შესახებ მისმა ადვოკატმა მარკ ფეიგინმა გაავრცელა. ამ დროისთვის, არ ვრცელდება ინფორმაცია სავაიკოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სავაიკომ განაჩინა გამოქვეყნების შემდეგ განაცხადა, რომ მისი ძალაში შესვლის შემდეგ მშრალი შიმშილობას დაიწყებდა.

## AMNESTY INTERNATIONAL-მ აღწესა 2015 წელს სიკვდილით დასჯილთა რეპორტი

2015 წელს სიკვდილით დასაჯა სულ ცოტა 1634 კაცი. ეს ციფრი ყველაზე დიდი გახდა 1989 წლიდან. ყველაზე მეტი დაამნაშავე სიკვდილით დასაჯეს ჩინეთში, ირანში, პაკისტანში, საუდის არაბეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ევროპაში ერთადერთ ქვეყნად, რჩება ბელარუსი,



სადაც სიკვდილით არავინ დაუსჯიათ, თუმცა ეს იქ ნებადართულია.

## აზერბაიჯანმა ბრალი დასდო სომხეთს ზაჰის ლაქვეში მთიან ყარაბაღში



ზნოდებს. ამ დროს ორივე მხარე აღიარებს, რომ კონფლიქტის ზონაში ძველებურად მიმდინარეობს სროლები.

## გაეროს უშიშროების საბჭომ დალოცა რუსეთის წინააღმდეგ სირიის მოლაპარაკებების შესახებ, განაცხადა ჩინეთმა

რუსეთის ფედერაციამ შესთავაზა განცხადების პროექტი მოწოდებით — უზრუნველყონ მოლაპარაკებათა მომავალი რაუნდის უპირატესი ხასიათი. მოსკოვს აწვდის, რომ სირიელი ქურთები დღემდე არ არიან მიწვეული შეწყობაში.

## მოღვაწე დასახლებების რეკონსტრუქციის დასაწყისი

ოფიციალური კომუნიკაციის დენსტრისპირეთის საკითხის მოგვარებისთვის „5+2“ ფორმატის სასწრაფო აღდგენის მომხრეა. ამის შესახებ მოლდოვის პრემიერ-მინისტრმა პაველ ფილიპმა განაცხადა. მისი თქმით, მოლდოვის ხელისუფლებას გადამწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება სწრაფად განაახლოს მოლაპარაკებები იმისთვის, რომ მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად დენსტრისპირეთის კონფლიქტი იქნას მოგვარებული. „კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ პოლიტიკური გზით, დენსტრისპირეთისთვის განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მინიჭებითა და მოლდოვის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით არის შესაძლებელი“, — განაცხადა ფილიპმა.

ცნობისთვის, „5+2“ ფორმატის მოლაპარაკებების უკანასკნელი რაუნდი 2014 წელს გაიმართა. მასში მონაწილეობენ მოლდოვა, დენსტრისპირეთი, რუსეთი, უკრაინა, ევრო, ევროკავშირი და ამერიკა.

# ზაურ ბოლქვაძე პარტილას ღოგი იყო, პოეზიას და მებრძოლებს!

## ზაურ ბოლქვაძე

2 აპრილს უნიჭიერესი პოეტისა და იუმორის დიდოსტატის, „ნიანგის“ ყოფილი მთავარი რედაქტორის ზაურ ბოლქვაძის დაბადების დღე იყო.

საქართველოს ლიტერატურული ოჯახის მას იცნობდა მოყვარულები სახელით — ღოგი. თავადაც ასე მიმართავდა და ეს იყვარებოდა მეგობრებს, კოლეგებს...

მართლაც ღოგი იყო, პოეზიაშიც და მეგობრობაშიც. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ვთქვა: ზაურ ბოლქვაძე ჩემი უფროსი მეგობარი იყო.

ზაური პოპულარული იყო ახალგაზრდებში, განსაკუთრებით უყვარდათ იგი დედაუნებრივად. არა მარტო სტუდენტებს, არამედ პროფესორ-მასწავლებლებს, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავს შინაურად გრძობდა საუნებროს-ტეტო გაზეთის — „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში, სადაც ან განსვენებულნი ირაკლი ვეშაპიძე, ზაურ ბოლქვაძე და ზაალ ჟვანია ანდამატივით იზიდავდნენ უფროსი თუ ახალგაზრდა თაობის ნიჭიერ წარმომადგენლებს. ერთხანს ზაური რედაქტორობდა კიდევ ამ გაზეთს და აქედან წაიყვანა ნოდარ დუმბაძემ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივნად. ზაური „პირველსიველი“ გახლდათ და ყოველდღიურად რედაქციაში მასპინძლობდა იმ თაობის ვარსკვლავებს: ჭილაძეებს, მუხრანს, ჯანსუღ ჩარკვიანს, შოთა ჩანტლაძეს და... ერთი სიტყვით, ვის არ ნახავდით აქ... რა თქმა უნდა, რედაქცია იყო შემოქმედებითი თავშესაფარი იმდროინდელი სტუდენტების შემოქმედებისა, მით უმეტეს, გაზეთი სისტემატურად ატარებდა ნაირ-ნაირ კონკურსებს ნიჭიერ კალმოსანთა გამოსავლენად...



უნივერსიტეტში მასინ ცხოვრება დულდა და კვირაში ორი-სამი დიდი ღონისძიება ტარდებოდა... კონცერტები, „კავეინები“, შეხვედრები საინტერესო, ცნობილ ადამიანებთან... ჰოდა, არც ერთი ღონისძიება არ ჩატარდებოდა საუნებროსტეტო სცენაზე, რომ დასასრულს არ მოეთხოვრა ზაურის გამოსვლა და მისი ლექსი... ჰოდა, გაივლიდა ეს ჩვენი უსაყვარლესი პოეტი სცენაზე, დასჭექდა ლექსს „ახალგაზრდობაზე“ და დაინგრეოდა დარბაზი ოვაციით.

არასოდეს მაგნიწყებდა ერთი სტრიქონი ამ ლექსიდან, რომელსაც ყოველთვის ღიმილით ვიკონებ: „ისტორიაში წვალებით შესვლას, ჯობს დამშვიდებით შესვიდე სახლში!“

ერთი სიტყვით, დღევანდელი ახალთაობა თუ გაცნობა მის შემოქმედებას, აღმოაჩენს უმშვენიერეს პოეტს, უმშვენიერეს და ღრმა პოეზიას და შეუძლებელია, არ შეიყვაროს ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედება...

აგერ, ორი პანია ლექსი, მხოლოდ ოთხი სტრიქონია თითოეული... და რამდენი რამეა ნათქვამი, რამდენ რამეს განგაცდევინებს ეს ორჯერ ოთხი სტრიქონი:

**„მე პოეტი ვარ — მიწა ვარ, ცა ვარ. მე პოეტი ვარ — სივრცე ვარ, დრო ვარ. მომენტარება სიკვდილი — წავალ. მომენტარება სიცოცხლე — მოვალ.“**

ანდა, აგერ, სტრიქონები, რომლითაც მან მიმართა უდროოდ წასულ მეგობარს და ეს სტრიქონები გახდა თავად ზაურისადმი მიმართულ მოყვარებად:

**„გადაუარა ბალახმა საფლავს — სიცოცხლის წერტილს, შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ, ჩვენ აღარა ვართ შენთვის.“**

მისი სხარტულეები დღესაც ცოცხლობს და „ხალხურად“ არის მიჩნეული.

პოეტის დაბადების დღის აღსანიშნავად, მისმა ქალიშვილმა გამოაქვეყნა მამის სურათი და უმაღლესი მასხენდა (და არქივიდან „ამოვადე“) შარშანდელი ერთი ფოტო-ჩანაწერი, რომელიც ამბავს მოყვები ფოტო-გამოქვეყნებულ „ნიანგის“ რედაქციისა და პოეტის ფოტო-სურათების კომენტარებისას.

... ჩემს უფროს ძმობილს ჩახუტებული ანგელოზი, ახლა უმშვენიერესი ქალბატონი, გამოჩენილი მუსიკოსი და საქვეყნოდ აღიარებული მოღვაწე, იუნესკოს საპატიო ელჩი გახლავთ. ორი დღის წინათ პარიზიდან დამირეკა და საუბრისას მოყვები ამბავი, რომელზედაც ორივემ გულიანად ვიცინეთ...

აი, „ნიანგის“ რედაქციისა და კავშირებული ეს „ღიმილიანი“ ისტორია: ეს გუნდი (ნოდარ დუმბაძის გამოკლებით) მწყრადად არ იყო ღვინოსთან. ჰოდა, სუფრასთან სახელდახელოდ მოწყობილი ეს შეხვედრები აღუღაბებდა ამ უნიჭიერეს და უკეთილშობილეს ადამიანებს, თანაც ხელს უწყობდა მათს შემოქმედებით, პროცესს...

ნოდარმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ, როგორც ყველა ნორმალური „ბოსი“ სიტყვით მაინც კრძალავდა „სამუშაო საათებში“ ღვინოსთან „გაბაასებას“. მეტ-ნაკლებად კი მოქმედებდა ეს „აკრძალვა“, მაგრამ...

ბიჭები და, რა თქმა უნდა, უწინარესად, ზაურ ბოლქვაძე, ვერა და ვერ „ჯდებოდნენ“ ასეთ „დისციპლინარულ“ ჩარჩოებში და... ზოგჯერ, ზაური, რბილად რომ ვთქვათ, შეზარხოშებული (და არა მთვრალი) მობრძანდებოდა ხოლმე სამსახურში... ნოდარი ჩვეული ღიმილით უჯავრდებოდა და აფრთხილებდა ყურნალის პასუხისმგებელ მდივანს: ნუ არღვევ „აკრძალვას“, თორემ გაგათავისუფლებო (!!!).

ზაურს ცოტა ხნით ყოფნიდა ეს გაფრთხილება, მაგრამ მერე მეგობრების დაპატიჟებაზე უარის თქმა უჭირდა და... მორიგ დარღვევაზე მთავარი რედაქტორის მორიგი „გაბრაზება-გაფრთხილება“ გამოცხადდა იყო... ბოლოს გაიგეს „იქ, სადაც ჯერ არს“... ზაურის „ემპატიობების“ შესახებ ნოდარს სერიოზულად „მიანიშნეს“... ისიც იძულებული გახდა, ბოლქვაძე ასევე სერიოზულად გაეფრთხილებინა: მორჩი, თორემ... გაგათავისუფლებო!!! კიდევ ერთი დარღვევა და ნოდარმა იფეთქა: ზაურ, უკანასკნელად გაფრთხილება, იცოდე გაგათავისუფლებო (!!!)...

ერთი სიტყვით, ზაურმა კიდევ ერთხელ ვერ გაუძლო ცდუნებას და შესვენებაზე, ბიჭებთან, მისი სიტყვებით — სულ რაღაც სამი ჭიქით დაილოცა და ისევ მობრძანდა რედაქციაში. უთხრეს, გეძებდა და რედაქციის სხლოდ უშენოდ დაიწყესო. ზაური მიხვდა, რომ „გაება“, მაგრამ, რა გაეწყობოდა, ადგა და შევიდა თათბირზე. ნოდარმა „ნასვამი“ ზაური დაინახა თუ არა, „იქუხა“, „ვენები გადაიჭრა“, ხომ გითხარი, გაგანთავისუფლებო... ჰოდა, მორჩა, ახლავე ვწერ ბრძანებას და გაგათავისუფლებო!!!

საყვედურს კი ელოდა, მაგრამ მისი ძმობილი თუ ვენებს გადაიჭრიდა, ეს ზაურისთვის მოულოდნელი იყო და თავდახრილმა, დამორცხვებულმა დანაშაული აღიარა, მერე თავი ასწია და მთავარ რედაქტორს ალაღად მიმართა: ნოდარ, ძამია, თუ მაგდენი შეგიძლია, არ ჯობს, რომ ჩემს მაგივრად საქართველო გაათავისუფლო????

ამ რეპლიკას რა ხარხარი მოჰყვებოდა, თქვენ თავად წარმოიდგინეთ. ის კი ვაქტია, რომ სამსახურის დამთავრებისთანვე დასასჯელ-დამსჯელის მეთაურობით, მთელი რედაქცია და მისი მეგობრები ქაბაბ-ხინკალს „ველიამინოვზე“ ერთად შეექცეოდნენ.

ნათელში იყოს პოეტი! კაცი!!!

წამბარ ფოფხაძე



## კაცს საქმე არენს



# სამშობლოსთვის გაწეული ღვაწლი

**ბატონი გიულან (ბია) ჭუბაბრია**, რომელსაც 80 წელი შეუსრულდა, დაიბადა ოჯახში, სადაც მშობლებისაგან შეისისხლხორცა ის ჩვევები, რომლითაც ადამიანებთან გასაოცარ თბილ და ჯანსაღ ურთიერთობას ამყარებს, ეს თვისება მას ახასიათებს ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანებისა და მოჩვენებითობის გარეშე.

1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1963 წელს ჩაირიცხა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კათედრის ასპირანტურაში. 1964 წლიდან მუშაობდა ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1998-2013 წწ. ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო. 1973 წელს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონ გიას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში რიგი პარაზიტული დაავადებების შემცირებასა და ლიკვიდაციაში. მისი ხელმძღვანელობით, მულტიცენტრული კვლევების მონაცემთა გათვალისწინებით, ტარდებოდა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. შესწავლილი იქნა 5 ნოზოლოგია (მალარია, ლეიშმანიოზი, ბრუცელოზი, ტრიქინოზი, ამებიოზი), რომელიც შესულია სახელმწიფო პროგრამაში.

ბატონ გიას მის საზოგადოებრივ ასპარეზზე ხანგრძლივი და შინაარსიანი მოღვაწეობის განმავლობაში მოუწია ფართო მასშტაბის სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-ორგანიზაციული სამუშაოების წარმართვა. იგი არის საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ყურნალებში და, ამავე დროს, ამ ყურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრია.

მისი კვლევის საგანია ექინოკოკოზისა და ვისცერული ლეიშმანიოზის პრობლემები.

რამდენიმე სიტყვა ბატონ გიას პირად თვისებებზე: იგი თავის გარემოცვას უმაღლესად აყვავებს უშუალოდ, ამავე დროს არის პრინციპული, სიტყვაგაუტყვებელი, დაკისრებული მოვალეობის დროულად და ხარისხიანად შემსრულებელი.

**მისი მიზნობრივი, მშვენიერი ანაბეზის წარმოგადგინება, გულწრფელი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემის ბრძანებით ვულოცავთ ბატონ გიას ოთხმოცი წლისთავის დღესასწაულს და მისი მშობლიური ქალაქის, ახალციხის რაიონის, ახალციხის მუნიციპალიტეტის მკვიდრი მოსახლეობის მიმართული მადლიერების გამოხატვას.**

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხელს შეუწყობს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში სამონასტრო მეცნიერება-მედიცინის მიმართულების განვითარებას.

# საპატრიარქოსა და საეპისკოპოსო-კვლევით სენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საპატრიარქოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია შევსება მელდინეობის დარგში ტრადიციული მეთოდების მეცნიერული კვლევა და მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვა, ვაზის ადგილობრივი უნიკალური ჯიშების პოპულარიზაცია, ე.წ. არატრადიციულ ზონებში (ქართული ისტორიული დიასპორის ტერიტორიაზე) ვაზის ქართული, ენ-

დემური ჯიშების მოძიება-გაშენება. მემორანდუმის ფარგლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილაურის სანერგეში ნაწარმოები ლაზური ვაზის სხვადასხვა ჯიშის ნაშენები ნერგები აკურთხა, რომელიც 7 აპრილს ისტორიული ლაზეთის 5 ქალაქში დაიბრუნდა. საპატრიარქოში გამართულ შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექ-

ტორმა ლევან უჯმაჯურიძემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ცენტრის მიერ აღდგენილი და გამრავლებული თავთავიანი კულტურების, მათ შორის ქართული ხორბლის ენდემური სახეობები და ჯიშები, ასევე ვაზის იშვიათი ჯიშების განდამზადებული ღვინის ნიმუშები გადასცა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხელს შეუწყობს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში სამონასტრო მეცნიერება-მედიცინის მიმართულების განვითარებას.

ტყვიის სროლა

დედა-უვილს პერპინ აჯობა

ძარტველმა ტყვიის მსროლელებმა სომხეთის დედაქალაქში გამართულ მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონ ზინაიდა სიმონიანის სახელობის თასზე ისპარეზეს პნეგმატური პისტოლეტიდან სროლაში.

სინჯავს ძალებს). ქალებში სალუქვაძემ ფინალში 200.5 ქულით გაიმარჯვა. ვაჟების საკვალიფიკაციო ეტაპზე, მართალია, მაჭავარიანი მეორე იყო, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობისას 198.5 ქულას მოუყარა თავი, რაც სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.



ქართველთაგან დანარჩენები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

თამაზ პატარიძე სურბათში: ნინო სალუქვაძე და ცოტნე მაჭავარიანი. ვაშა დანიელი ფოტო.

ძიუდო

20 მედალი ათენიდან



მსოფლიოს 22 ქვეყნის 300-ზე მეტი ძიუდოისტი გამოდიოდა ათენში დასრულებულ ევროპის ახალგაზრდულ თასზე. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 20 მედალი (4 „ოქრო“, 6 „ვერცხლი“, 10 „ბრინჯაო“) საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ოთხივე ვილდო ჩვენმა ბიჭებმა მოიპოვეს. 81-სა და 100 კილოში ქართველებს სამ-სამი მედალი ხვდათ. სამ წონაში ქართული ფინალები გაიმართა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: რობინზონ ბეგლარაშვილი (60), ონისე სანებლიძე (90), ჯაბა მუშლაძე (100) და ნიკოლოზ სისვაძე (+100). გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ ბექა უდესიანი (66), გიორგი ხმელიძე (73), კობა მჭედლიშვილი (81), იესო კვირიკაშვილი (90), დავით ოზბეთელაშვილი (100) და გურამ ქოსმენაშვილი (+100), ხოლო დავით გეჯაძემ, ზურაბ კახნიაშვილმა (ორივე - 55), ივერი წასიძემ (66), ტატო ტაბულაშვილმა (73), გიორგი ქურდიანიმა, ტრისტან მოსახლიშვილმა (ორივე - 81), ზაურ კენჭაძემ (100), საბა გაბრიჩიძემ და გელა ზალიშვილმა (ორივე +100) მესამე ადგილები დაიკავეს.

ირაკლი ცირეკიძისა და მინდია ბოდაველის შეგირდები მომავალ უქმეებზე სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირზე გამოვლენ, რომლის შედეგებითაც საბოლოოდ გაირკვევა საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც ევროპის პირველობისთვის მოემზადება.

გივი ბაგუა

მშვილდოსნობა

ჩუბინ ქალთა „პერსული“

ანტალიაში დამთავრდა მშვილდოსნობა კაპრამან ბალათორის VIII საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოდან 7 ქალი და 6 ვაჟი მონაწილეობდა. კვლავ იყოჩაღეს ჩვენმა მანდილოსნებმა: საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი ხათუნა ნარიმანიძე 565 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესეებუა 638 ქულით მე-20 იყო, ხოლო იულია ლობჯანიძე 617 ქულით 43-ე ადგილზე აღმოჩნდა. ქალთა გუნდურ ჩათვლაშიც ეს სამი შედეგი შევიდა, რაც მეექვსე მაჩვენებელი აღმოჩნდა. პლეი ოფის პირველ წრეში ჩვენმა სამეულმა აზერბაიჯანის გუნდი დაამარცხა - 5:1. მეოთხედიფინალში ნატო ნასარიძის განვრთნილ თურქებს აჯობა - 5:4, ნახევარფინალში გერმანიასთან გაიმარჯვა - 5:1, ფინალი კი მსოფლიოს ბოლო ორი პირველობის ვიცე-ჩემპიონ ინდოელებთან 2:6 დათ...

მო. საგულისხმოა, რომ ქართველთა სწორედ ამ სამეულმა მოიპოვა რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზია.



პირად პირველობაში ესეებუამ პირველ წრეში გერმანელ პეტრა ჰაიმბეკს მოუგო, ლობჯანიძემ თურქი ქიგდემი ეგემენი დაამარცხა. მეორე წრეში იულიამ დანიელი ევროპის ჩემპიონი მაია ჯაგერი ჩამოშორა გზიდან, ქრისტინამ ისევ მასპინძელი პულია

იოზკალი დაჯაბნა. მომდევნო ეტაპზე მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს ლობჯანიძე გამოაძლდა, ნარიმანიძე და ესეებუა კი მერვედიფინალში გავიდნენ, თუმცა, მათი წინსვლა აქ შეაჩერეს: ხათუნამ აზერბაიჯანელთა სახელით მოასპარეზე უკრაინელ ოლგა სენიუკთან წააგო, ქრისტინემ თურქ ეცემ ანაგოზთან დათმო პაექრობა. ამ უკანასკნელმა დაანარჩენი ორთაბრძოლებიც მოიგო და ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა პირველ წრეში აზერბაიჯანელებს სძლია, მეორეში კი ინდოელებთან ვერაფერს გახდა და მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა. ასპარეზობა აზიელთა გამარჯვებით დასრულდა.

ლაზა დიღია სურბათში: ხათუნა ნარიმანიძე (წინა პლანზე) და იულია ლობჯანიძე ასპარეზობისას.

ფეხბურთი



ახლო სენსაციამდე

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედიფინალში რომ სუსტი მეტოქეები აღარ არსებობს, სამშაბათის რაუნდმა დაადასტურა, როცა ფავორიტებმა სამადლო გამარჯვებები მოიპოვეს. ეს გულშემატკივართათვის, დაგვეთანხმებით, კარგიცაა - საპასუხო შეხვედრებს ხომ ინტრიგა შეუნარჩუნდა, ჩვენ კი, მოდით, ერთი კვირა მოვიცადოთ - იქნებ სიურპრიზ(ებ)იც გამოცხვეს. „ბარსელონა“ - „ატლეტიკო“ 2:1 (გოლები: სუარესი (2); ტორესი); „ბაიერნი“ - „ბენფიკა“ 1:0 (გოლი: ვიდალი).

გიორგი შოთაძე

ლაფასება

„გასვლითი მარში“ - მერვე პრემიით

ცნობილმა პოეტმა ვანტანგ ლლონტმა ბათუმის მუსიკალურ ცენტრში შესანიშნავი ტრადიცია დაამყვიდრა - სალონური საღამოები იმართება აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დირექციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ამ დღეებში „ქათათა ქალაქმა“ პირველ გაცვლით შეხვედრას უმასპინძლა ფართო დიაპაზონის შემოქმედ დემიკო ლოლაძესთან, რომლისთვისაც ანალოგიურ ღონისძიებაზე მიწვევა ასევე პირველი გახლდათ.

საპატიო სტუმარმა სპორტის უამრავი მოყვარულის წინაშე გაიხსენა საინტერესო საფეხბურთო ბატალიები და ეკრანზე გააცოცხლა დაუფინყარი მატჩების დროს გადაღებული ფოტოები, ხოლო დამსწრე საზოგადოებას საჩუქრად დაუბრუნა ტყავის ბურთის დიდოსტატებისადმი მიძღვნილი საკუთარი წიგნები.



ჩვენს ძვირფას კოლეგას მისალმნენ აჭარის მწერალთა კავშირის თავკაცი დავით თედორაძე, ვეტერანი ჟურნალისტი ოთარ გაგუა, გულშემატკივარი გოჩა შამილიშვილი, მოპულარული კალმოსნები რამაზ სურმანიძე და შოთა ზოიძე, შეხვედრის დასასრულს კი სპორტულ ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ბატონ დემიკოს უკვე მერვე ლიტერატურული, ამჯერად აბუსერის ძე ტბელის სახელობის პრემია გადაეცა. დაგვეთანხმებით, დამსახურებული ჯილდოა მამულიშვილისთვის, რომელსაც ამ დღეებში დაბადების დღე მივულოცეთ.

ზია პლატონიშვილი

ჭადრაკი

ლელა ჯავახიშვილი საქართველოს ჩემპიონი

საძარტველს მოჭადრაკე ქალთა 73-ე ეროვნულ ჩემპიონატში წრიული სისტემით 12 მანდილოსანი ფიცილებოდა ერთმანეთს საბრიზო ადგილებს. შესანიშნავად ისპარეზა ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა ლელა ჯავახიშვილმა (მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე მან თითო ოქრო (2008) და ბრინჯაო (2010) დაიმსახურა, ასევე, პირველი (2015) და მესამე (2011) ადგილები დაიკავა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებში, ხოლო ევროპის პირველობებზე საქართველოს ნაკრებთან ერთად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.), რომელმაც ექვსი ორთაბრძოლა მოიგო, ოთხი ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, მოაგროვა 8 ქულა და ჩემპიონის ტიტულს მეოთხედ დაეფულა.



არაბიქმ გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე მოდიან ბელა ხოტუნაშვილი - 5.5, ნინო ხომერიკი - 5, სოფიო გვეტაძე - 5, ალექსანდრა ვახანია - 4.5, მირანდა მიქაძე - 4.5, ანა გაგაშვილი - 3 ქულა. ვახანია საერთაშორისო ოსტატის მესამე ბალი შეასრულა.

ლემსო ცინცაძე

ინტერნეტიდან

ფარლოტა კანიჯა ბიდი გახდა

დიდიბუღიში არგენტინელი მეგოლის კლაუდია კანიჯას გადარეულ ასულზე შარლოტაზე აქამდეც დაგვიწერია და, ალბათ, მომავალშიც ბევრჯერ დაგვწერ, რადგან „კლაუდიოვანა“ ისეთი თავისუფალი, ფრთაგაშლილი და მოპულარობაზე თვალბდაჭყეტილი ვინმეა, მასზე წერა როგორ უნდა მოგწყინდეს?...



შარლოტამ საკუთარი ძალები უკვე გამოსცადა როგორც ფოტომოდელის, ასევე მსახიობის ამპლუაში და ყველგან მარტივად შეძლო საზოგადოების გაკვირება. აბა ყველას კი არ შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ ადგილას ტანსაცმლის ჩქარ-ჩქარა გახდა და ტახტზე ლუარსაბის ცოლ დარეჯანივით გადანოლა. შარლოტა კანიჯას ახლა უკვე სულ სხვა პოზი და გასართობი ჰქონია. კლაუდიოს ასულმა მუშაობა ერთ-ერთ არგენტინულ ტურისტულ სააგენტოში დაიწყო და ბუნებრივად აირესში ჩასული სტუმრები გასართობ და ტან-ფანდურა დაწესებულებებში დასწყავს. არგენტინაში შარლოტამ შეიძლება კულტურული ძეგლების მდებარეობა არ იცოდეს, თორემ გასართობი ობიექტები იცოცხლეთ - სულ ყველა ეცოდინება...

როსტომ რაჭველიშვილი

# ვიდრე ზოოპარკი მისამართს შეიცვლიდეს...



2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შემდეგ გადაწყდა, რომ ზოოპარკს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაიტანენ. თუმცა, მანამდე მუშაობას კვლავ ძველ ადგილას აგრძელებს. რა მდგომარეობაა ამჟამად ზოოპარკში, რა სამუშაოები მიმდინარეობს, შეემატა თუ არა ახალი ბინადრები და უსაფრთხოების რა ზომებია მიღებული სტიქიის კვლავ განმეორების შემთხვევაში? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „**შე-018-060**“ ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს მზია შარაშიძეს ესტუმრა და მიმდინარე სამუშაოების შესახებ ესაუბრა.

— ქალბატონო მზია, 13 ივნისის სტიქიის შემდეგ როგორი მდგომარეობაა ზოოპარკში?

— სტიქიის შემდეგ 3-თვიანი სერიოზული სამუშაოების მერე, 13 სექტემბერს გავსენით ზოოპარკი. გავსენით ეგზოტარიუმიც. იქ გავკეთდა ახალი, 6-ტონიანი დიდი აკვარიუმი. სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს, თუმცა დამთავლიერებელს უკვე აქვს ეგზოტარიუმის ნახვის შესაძლებლობა. რაც შეეხება მთლიანად ზოოპარკს, აქ გრძელდება ვოლიერების რეაბილიტაცია. დასრულდა იმ ვოლიერების რეაბილიტაცია, რომელიც წყალდიდობამ დააზარალა. რაც შეეხება, 3 დათვსა და 2 მგელს, რომლებიც გადაურჩნენ წყალდიდობას,

მათთვის ჯერ არ გვაქვს ახალი ვოლიერები და დროებით ძველში იმყოფებიან.



ამჟამად მიმდინარეობს ახალი ვოლიერების მშენებლობა იმ ცხოველებისთვის, რომლებიც ევროპის ზოოპარკებიდან უნდა ჩამოვიყვანოთ. შენდება მაიმუნების ვოლიერებიც. გაზაფხულზე უნდა მივიღოთ მაიმუნების ორი სახეობა — პავიანები და მაკაკები. ასევე ველოდებით კენგურუებს და ტაპირებს. მოკლედ, ძალიან ბევრ ცხოველს.

— როგორია უსაფრთხოების ზომები დღეს?

— ისეთი დონის სტიქია თუ განმეორდა, რაც მოხდა, ამ შემთხვევაში ვერანაირი ჯებირი იმ ნაკადს ვერ გააჩერებს. ჩვენ რისი გაკეთებაც შეგვიძლია, არის ის, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაიტბორა, არ განვითავსოთ ცხოველების ვოლიერები, რადგან სტიქიის განმეორების შემთხვევაში მაქსიმალურად დაცულები ვიყოთ.

— რა ცხოველები მიიღეთ ამ ეტაპზე?

— პირველი საჩუქარი უკვე მივიღეთ რიგის ზოოპარკმა გა-

მოგვიგზავნა 1 აქლემი, 3 ალპაკა, 1 აზავერი და 2 თუთიყუში არარაუნა.

— რომელ ცხოველებს ელოდებით კიდევ?

— მენტორთან შეთანხმებით შევადგინეთ სია და შევარჩიეთ ისეთი ცხოველები, რომლებისთვისაც არსებულ ტერიტორიაზე არის შესაძლებელი ძალიან მცირე თანხით ვოლიერების აშენება და არ სჭირდებათ დიდი ტერიტორია. მსხვილ მტაცებლებს რაც შეეხება, უახლოეს გეგმებში შედის ვეფხვეების ჩამოყვანა, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება.

— როგორია ზოოპარკის ვიზიტორების მაჩვენებელი?

— ჩვენ ვართ ნაწილობრივ საკუთარ და ნაწილობრივ მერიის დაფინანსებაზე. სტუმრების რაოდენობაზე დამოკიდებული. ზოოპარკის გამართული მუშაობა სტიქიის შემდეგ ვიზიტორთა რაოდენობა არათუ განახევრდა, არამედ მესამედის კი არ დადიოდა. ძალიან დეპრესიული ზამთარი გადავიტანეთ.


ახლა ნელ-ნელა გამოცოცხლდა სიტუაცია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახალი ცხოველები ჩამოვიყვანეთ. იმედი გვაქვს, რომ კიდევ ახალი ცხოველების ჩამოყვანა იქნება ერთ-ერთი ბიძგი, რომელიც ხალხს დააბრუნებს ზოოპარკში.

— თბილისის ზოოპარკის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატანის პროექტი უკვე დამტკიცებულია, როდის შეძლებს ზოოპარკი ახალ მისამართზე მუშაობას?

— კონკრეტულად ჯერ რაიმე პროექტი არ არსებობს. ამჟამად ზოოპარკის ტერიტორიას შემორტყმული აქვს ღობე, რომელიც მერიამ გააკეთა. ვიცით, რა ტერიტორიაზე რომელი ცხოველების ვოლიერები უნდა განთავსდეს.

ახალ ტერიტორიაზე გადასვლის გამო ბევრს ჰგონია, რომ სტიქიამ ყველა ცხოველი გაანადგურა და სანახავი არაფერია, რაც არ არის მართალი. დაახლოებით 800-მდე ცხოველი გვყავს ზოოპარკში, მათ შორის ძალიან საინტერესო სახეობები, თეთრი მარტორქა, სპილოები, ზებრები, თეთრი ლომები, ლეოპარდები. სანამ ახალ ტერიტორიაზე გადავალთ, მოვუნდებ საზოგადოებას, აუცილებლად მოვიდნენ ზოოპარკში.

ესაუბრა  
კაბა ფანცულაია



## დედაქალაქი

### გალამაზდა, გაკოსტავდა არემარე...



დიდი სამშენებლო ფაციფუცია ამ დღეებში თბილისში ზღვის უბნის მე-11 მიკრორაიონში საავტოო ცენტრის მიმდებარე სკვერში.

ნაძალადევის რაიონის გამგეობის დაკვეთით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები შპს „ნორდეს-ტსტროის ფილიალი საქართველოში“ ძალებით ხორციელდება. მშენებლებმა მთლიანად აღადგინეს და გააკოსტავეს შადრევანი, შეუცვალეს წყალგაყვანილობა, ლამაზი მოზაიკით ხელახლა მოაპირკეთეს აუზის ფსკერი, ახლი-

დან, თეთრად შეღებეს კედლები, რკინის ღობე და ლამპიონები. ახალი ფილები დაიგო სკვერის ბილიკებზე, დაიდგა ახალი, კომუნია ურნები და ამუშავდა ახალი ატრაქციონი, მოიყარა წითელი პემზა, ხოლო შესასვლელი რკინის ღობით ჩაიხერგა და დაუდევარ მძლოლებს იქ შესვლის შესაძლებლობაც მოეხსოვთ.

საგაზაფხულო აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს მთავარი პოსპიტლის მე-5 კლინიკური საავადმყოფოს მიმდებარე სკვერშიც, რაც მეტად მნიშვნე-

ლოვანია ამ კომპლექსური, მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულების პაციენტთათვის. აქაც ქვის ფილებით ხელახლა კეთდება საფენშავლო ბილიკები, ირგვება ხე-უჩქები და ყვავილები ჰიპოკრატეს ძეგლის გარშემო, უკვე შეკეთდა საავადმყოფოსთან მისასვლელი კიბე.

მოკლედ, ნაძალადევის რაიონის გამგეობა ზრუნავს ზღვის უბნის მე-11 მიკრორაიონის გალამაზებაზე, რაც დიდებული მაგალითია სხვა რაიონების გამგეობებისთვის.

დალი ხუნდაძე  
ელგუჯა  
ნაბარბიშვილის ფოტო.



## მეორთაშაუბი სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან!

საბარბიშვილის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული-სამძებრო ღონისძიების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები გიორგი მათეშვილი, იოსებ ბეგიაშვილი და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ბესიკ ბალარჯიშვილი დააკავა.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 1 ლარად შესყიდვაში დახმარების სანაცვლოდ, მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს 100 000 ლარი, ხოლო წინასწარ გამოართვეს 60 000 ლარი. დაკავებულთა პირადი ჩხრევისას საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულია ქრთამის სახით აღებული თანხა.

ყოჩილ, ბიჭებო! საქმეზე მიმდინარეობს გამომძიებელი სამართლებრივი სისსლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილი „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით.

საღვთისმშობლო დღესასწაული

ისარეთ ორთავ სოფელსა უინა!

დღეს, 7 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს თორმეტ უდიდეს საეკლესიო დღესასწაულთა შორის ერთ-ერთ საღვთისმშობლო დღესასწაულს - ხარებას.

...ცნობილია, რომ სწორედ საღვთისმშობლო დღეებში, განსაკუთრებულად შეინიშნება ყოველდღიური ღვთისმშობელი ჩვენს ღმერთს.

თუმცა, ღვთისმშობლის ხარების დღე IV საუკუნეში დაანება წმიდა ეკლესიამ, ამ მოვლენის ამსახველი ხატები გაცილებით ადრეულ პერიოდს განეკუთვნება.

საგულისხმოა, რომ რომის კატაკომბებში ხარების გამოსახულებები II საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეფე იოანე მრისხანეს მიერ უსამართლოდ შეპყრობილი მხედართმთავრის სენაკში კედელზე ღვთის ძალით ღმერთისმშობლის ხარების ხატი გამოისახა. ამის მცნობელმა ხელმწიფემ ტუსადი გაათავისუფ-

ლა. ხოლო ხელთუქმნელი ხატის დღესასწაული 7 აპრილს დანესდა. უფალმა იესო ქრისტემ შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, მას ქალწული შობდა და უწოდებდნენ სახელად ემანუელს (ჩვენთან არს ღმერთი)!

გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ღვთისმშობელს, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე, შობდა მაცხოვარს.

...როგორი გამოძახილი ჰქოვა სამყაროში ხარებამ - რადგან სადავო არ არის, რომ ხარება 7 აპრილს იყო, შესაბამისად, მარიამი ელისაბედს აპრილის პირველ რიცხვებში უნდა სწვეოდა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, ვინაიდან სამყაროსთვის სწორედ ამ დღეს გაცხადდა საიდუმლო განგებულებისა, რომელსაც ხარების წუთიდან ელისაბედთან მისვლამდე მხოლოდ მარიამი ფლობდა.

გიული ლიპარტია



გამოწერით: 6 თვით - 60 ლარი, 1 წლით - 120 ლარი. მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია - 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ - 2 143 906; „ელვასერვისი“ - 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ - 2 988 990; „პრესა-2012“ - 2341140; „ოლიმპი“ - 599 15 19 69; „პრესა+“ - 55155444; „ჯეომედია“ - 593 977 888. ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, ი. მინაშვილის ქ. 7. სალმონების ინდექსი 66434

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-37-87 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიასვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; რუსლან რუსია 599 17-21-21; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანამდგომარეობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 91772233385001

კაკალ გულში კანელას თაყი რი ნაპირ...

● ჯულიეტონას გადაცემას ვუყურებ და ჯულიეტონას და ნაცების შემხედვარეს „სტუმარ-მასპინძელი“ გამახსენდა: „ქისტები განვრუნენ, იტყვიან: ვერ აუხრულდათ წადილი, ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს მის შესაფერი სადილი“.

● ცნობადი სახეა? - ცნობადია! ინგლისური იცის? - იცის! ამერიკასთან ურთიერთობა აქვს? - აქვს! თავისი საქმის პროფესიონალია? - პროფესიონალია! წვერი ღმერთად შეიღება? - შეიღება! გოჩა ჩერტოვები ოცნების საარჩევნო სიის პირველ ნომრად!!!

● კანდელაკს თავი რო წააძრო, ერთი ოთხი თვე მაინც



ირბენს ევროპარლამენტის სსდომებზე შეატარებინა დანი თუ არ შემოსაზე.

● დემოკრატია იმპოტენტების რელიგიაა, მუდამ ამყარებენ და ვერ მყარდებიან!!! ● საპარლამენტო არჩევნები 8 ოქტომბერს დაინიშნა!!! აბა წავიდა... მე სომ ვიცი, რა თუნ-თუნაც დაიწვება ასლა ქაობში. ● მერსის კითხვს კანტს რა ქვიაო? საბრინაო... ხი ხი ხი... არა, ამერიკა... ემანუელაო.

ამოკრიბა ბიბ ბაბრიძე

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი ფესტივალის II ტურმა სტარტი გუშინ აიღო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

წარმოდგენილი იყო კანონისა და ქვემო ქართლის მონაწილეები - ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, სახალხო მთქმელები.

ფესტივალის მოიწიეს ხალხურ სიმღერასა და ცეკვას, საკრავიერ მუსიკას, ტრადიციულ საეკლესიო გალობას, ზეპირსიტყვიერებას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. ფესტივალში მონაწილეობს საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსი და ეთნიკური ჯგუფი. ფესტივალის 2015 წელს ივნისში, ქალაქ თელავში გაიხსნა და საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა. წელს კი, ფოლკლორის მოყვარულებს ფესტივალის II ტური, ფინალი და გალა კონცერტი ელის.

წყნეთი - ახალგაზრდის გზის ნაწილი ჩამოინდობა

ბუშინ დილით წყნეთი-ახალგაზრდის დამაკავშირებელი გზა ჩამოინდობა. გზის აღნიშნული მონაკვეთი 13 ივნისის სტიქიის შემდეგ დაზიანდა, თუმცა იქ აღდგენითი სამუშაოები არ დაწყებულა. სპეციალისტები ამბობენ, რომ გზის აღსადგენად ჯერ გეოლოგების დასკვნაა საჭირო, რომლებ-

PSP სააფთიაქო ქსელის გაფართოებას მოხმობს

PSP სააფთიაქო ქსელის გაფართოებას მებრუნებელ ქვეყნებში გვგვამს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სომხეთის არსებულ სააფთიაქო ქსელებთან, მაგრამ არ გამოირიცხება სრულიად ახალი სააფთიაქო ქსელის შექმნის იდეაც. „ვანარმოებთ მოლაპარაკებებს სომხეთში არსებულ სააფთიაქო ქსელის შექმნასთან დაკავშირებით, პარალელურად განვიხილავთ სრულიად ახალი სააფთიაქო ქსელის შექმნის იდეას, რომელიც ისევე, როგორც პსპ-აფთიაქის ქსელი, ორიენტირებული იქნება მომხმარებლის კმაყოფილებაზე, ამჯერად სომხეთის მომხმარებლის“ - აცხადებენ პსპ-ში.



ცინცხალი ანეკდოტები

- ჩემს მეზობელს ბინაში ცოცხალი გველეხი ჰყავს. - რას ამბობ, რა საზიზღრობაა! როგორ არ გაეყარა აქამდე ცოლი? - ვერ მოასწრო... \* \* \* არჩვენები - ეს საუკეთესო საშუალებაა ხალხისთვის, რათა გადააყენოს ამჟამინდელი ქურდები და აირჩიოს ახალი ქურდები. \* \* \* ჩვენს სუპერმარკეტში ისეთი კომფორტული მიკროკლიმატია, რომ ბუზები იანვარშიც კი არ ისიცხებიან. - ნუ ინალვლებ, ისინი დებილები არიან. - მაგრამ იმათ უამრავი მკითხველი ჰყავთ და დიდძალი შემოსავალი აქვთ რეკლამიდან, მე კი არაფერი არა მაქვს. - მაშინ შენ ყოფილხარ დებილი... \* \* \* - იმპან ივანიჩი, თქვენთან კვლავ მოვიდნენ მთხოვნელები! - ნაღდად ჩემთან არიან? - არ ვიცი... რომ შემოვიდნენ, იკითხეს, ეს დებილი უკვე მოვიდაო?



სრ უსსოპი პალატის კარგი: აუტოლოგრაფი - 2.315; პირი - 2.641; ბრიტანული ბიკანაბ სტარლინი - 3.311; 100 რუბლი - 3.451; თურქული ლირა - 0.821; აზერბაიჯანული მანათი - 1.501; 1000 სომხური დრამი - 5.818

აპრილი 7 აპრილისთვის: ალმონაწილი საქართველო: ბაბი - ლაპი +1, ღლპ +18; შიშანი რაიონები - ლაპი -10, ღლპ +8; დასავლეთი საქართველო: ბაბი - ლაპი +2, ღლპ +18; შიშანი რაიონები - ლაპი -3, ღლპ +14; თბილისი: ლაპი +3, ღლპ +16

ჩვენი მისამართი: თბილისი, მინაშვილის ქ. №7 ტელ: 293-37-87, 599-79-76-79 WWW.SAKRESP.GE